Women's Information Center

MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS OF DENMARK

KVINFO GENDER EQUALITY

მედიის გენდერული მონიტორინგის ანგარიში

მონიტორინგის პერიოდი:

01/02 - 31/04

2023

მედიის გენდერული მონიტორინგის ანგარიში

მონიტორინგის პერიოდი:

01/02 - 31/04
2023

ავტორები:
ელენე რუსეცკაია და ქეთევან მუმლაძე

მედიამონიტორები:
გვანცა სანაია, ქეთევან ზოიძე, მედეა ჟვანია

მედიის გენდერული მონიტორინგის ანგარიში მომზადებულია პროექტის
“ქალთა გაძლიერება და სრულფასოვანი მონაწილეობა ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის განხორციელებაში“ ფარგლებში ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ,
დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და KVINFO-ს მხარდაჭერით

შინაარსი

6 აბსტრაქტი
8 ტერმინთა განმარტება
11 საკვანძო სიტყვები
12 შესავალი
14 მიგნებები
16 დასკვნა
18 რეკომენდაციები
19 გენდერული თანასწორობის საკანონმდებლო ჩარჩო
21 ეროვნული კანონმდებლობის მიმოხილვა
21 თვითრეგულირების დამოუკიდებელი ინსტიტუციური მექანიზმები
25 მონიტორინგის განხორციელების მეთოდი
26 მედიამონიტორინგისთვის მასალის შერჩევა
28 მონიტორის მუშაობა
28 მონიტორინგის განხორციელების პროტოკოლი
28 შერჩევის ბარათი
29 მონიტორინგის შედეგად მიღებული ერთიანი რაოდენობრივი მონაცემები
31 სტერეოტიპები
33 დისკრიმინაციული გამონათქვამები
33 სოძულვილის ენა
34 საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები (რაოდენობრივი მონაცემები)
36 გასართობი გადაცემები (რაოდენობრივი მონაცემები)
37 სამონიტორო მასალის განხილვა
37 საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები
39 სექსუალური შევიწროვების თემა
40 სიძულვილის ენა
41 მესამე სექტორის დისკრედიტაცია
42 გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი ინსტიტუციების წარმოჩენა მედიასივრცეში
44 გასართობი გადაცემები
44 „კაცები“
45 „ჩვენი შოუ“
47 „ვანოს შოუ“
48 გამოყენებული დოკუმენტები და ლიტერატურა:
49 დანართები

აბსტრაქტი
ABSTRACT

ანგარიში მომზადებულია საქართველოს ტელემედიაზე დაკვირვების შედეგად. მონიტორინგის განხორციელება განაპირობა საზოგადოებაში არსებულმა იმ გამოწვევებმა, რომლებიც ხელშესახებია ქალთა ლიდერობისა და პოლიტიკური მონაწილეობა/ჩართულობის, გენდერული სამართლიანობის, ქალთა გაძლიერების, გენდერული ცნობიერების ამაღლების სფეროებში; იმ პრობლემებმა, რომლებსაც ხშირად აწყდებიან თანამედროვე ქალები მიუხედავად იმისა, რომ გენდერული კანონმდებლობა გამართულია და ფორმალურად ყველა უფლება დაცულია.

მიზნად დავისახეთ მედიაში გენდერული დისკრიმინაციის, სიძულვილის ენის, სტერეოტიპების დაფიქსირების ფაქტებისა და წყაროების გამოვლენა, ქალთა პრობლემატიკის გაშუქების თავისებურებების, ძირითადი/მიმდინარე გენდერული ტრენდების ანალიზი მედიაში, რომლის კონტენტიც სწორედ გენდერული წიგნიერების ხარისხის გამოხატულების ერთ-ერთი ინდიკატორია.

ანგარიში საქართველოს ტელევიზიების (საზოგადოებრივი მაუწყებელი, "იმედი", "ტვ პირველი") საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და გასართობ გადაცემებზე (2023 წლის თებერვალი, მარტი, აპრილი) დაკვირვების შედეგია.

დაკვირვება განხორციელდა სპეციალური კრიტერიუმების მიხედვით, კრიტერიუმები ეფუძნება ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ სფეროში დაგროვილი გამოცდილებით შემუშავებულ სამუშაო დოკუმენტებს, რომლებიც, თავის მხრივ, ეყრდნობა საყოველთაოდ აღიარებულ ევროპულ პრაქტიკებს, ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას, მონიტორინგის განხორციელების საყოველთაოდ მიღებულ თეორიულ ჩარჩოებს.

მონიტორინგი განხორციელდა რაოდენობრივი და თვისებრივი კონტენტ–ანალიზის სტანდარტული მეთოდით.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ქალთა წარმოჩენა ტელეეთერებსა და შესაბამისად, მიმდინარე პროცესების გაშუქება-განხილვაში მათი ჩართულობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება კაცებისას; გადაცემებში ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა გენდერულ თემებს, როგორებიცაა: ფემიციდი, სექსუალური ძალადობა, ქალთა დისკრიმინაცია და შესაბამისი კაზუსების განხილვას. მონიტორინგმა დაადასტურა სტერეოტიპების აღწარმობა და სიძულვილის, დისკრიმინაციული ენის პრაქტიკა, როგორც ქალი, ისე კაცი პოლიტიკოსების მიმართ. მიდგომა გენდერული თემების/პრობლემატიკის გაშუქებისადმი არ არის სისტემური, სიძულვილის ენისა და გენდერული დისკრიმინაციის/ექსპრესიის დაგმობა/აღკვეთა არ ხორციელდება მეთოდურად.

დასკვნები გაკეთდა საკვლევი მასალის შეჯერებით და საფუძვლად დაედო რეკომენდაციებს.

გამოიკვეთა გენდერულ საკითხებზე საგანმანათლებლო-შემეცნებითი მუშაობის, როგორც ჟურნალისტთა პროფესიონალიზაციის შემადგენელი ნაწილის შემდგომი გაძლიერების აუცილებლობა , ასევე - საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და კანონების ცხოვრებაში რეალიზაციის მექანიზმების ამოქმედების საჭიროება.

Observing Georgian television led to the preparation of this paper. The challenges that exist in the areas of women›s leadership and political involvement, gender justice, women›s empowerment, and gender awareness are what spurred the implementation of monitoring; modern women frequently face issues even though gender legislation is in place and all rights are formally protected. In addition to analyzing the main and current gender trends in the media—the content of which is one measure of the calibre of gender literacy—we also sought to expose the facts and origins of hate speech, stereotyping, and gender discrimination. We also looked at the ways in which women›s issues are covered in the media. After watching political and entertainment shows on Georgian television (Public Broadcaster, «Imedi», «TV Pirveli») (February, March, and April 2023), the report was created.

The monitoring was done in line with the handbook that the Women›s Information Center created based on a wealth of field experience. It also complies with local laws, widely accepted theoretical frameworks for monitoring implementation, and generally accepted European practices. The conventional approach of quantitative and qualitative content analysis has been used to finish the surveillance. The research›s findings showed that women are much less represented on television than men are, and that they also participate in discussions about current processes at a much lower rate. TV shows tend to ignore gender-related issues like femicide, sexual assault, discrimination against women, and public debates about pertinent incidents. The persistence of negative stereotypes and the use of harsh, discriminatory words toward politicians—male and female—were confirmed by monitoring. The way that gender issues and concerns are covered is not tenacious, and there is a lack of rigorous effort put toward denouncing and preventing hate speech and gender discrimination. Based on recommendations, comparisons between the research materials were used to draw conclusions. As a component of the professionalization of journalists, the need for continued support of clear and comprehensive education on gender issues was emphasized, along with the necessity of increasing public awareness and putting in place systems to make the laws enforceable in day-to-day operations.

ტერმინთა განმარტება

გენდერი - სქესთა შორის ურთიერთობის სოციალური ასპექტი, რომელიც გამოხატულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და გულისხმობს სოციალიზაციით განპირობებულ შეხედულებებს ამა თუ იმ სქესზე.[1]

გენდერული - გულისხმობს სოციალურად დაკავშირებულ როლებს, ქცევას, საქმიანობას და მახასიათებლებს, რომლებსაც მოცემული საზოგადოება ქალისა და კაცისთვის შესაფერისად მიიჩნევს.[2]

გენდერული მეინსტრიმინგი - გენდერულად სენსიტიური პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და იმპლემენტაციის პროცესი, მამაკაცებსა და ქალებს შორის კარგად დამკვიდრებული თუ ახლადწარმოქმნილი უთანასწორობების გამოვლენა და მათი გამოსწორება. ეს გულისხმობს პოლიტიკის შექმნის, იმპლემენტაციისა და შეფასების პროცესში ქალთა და მამაკაცთა განსხვავებული ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებას. ყოველი პოლიტიკა უნდა შეფასდეს გენდერული თანასწორობის ჭრილში და მიზნად დაისახოს არსებული უთანასწორობის გამოსწორება გენდერულად სენსიტიური მიდგომების გზით.[3]

გენდერული ასიმეტრია - ცხოვრების სხვადასხვა სფეროში (პოლიტიკა, ეკონომიკა, განათლების სისტემა და ა.შ.) ქალთა და მამაკაცთა არათანაბარი წარმომადგენლობა.[4]

გენდერული თანასწორობა - ადამიანის უფლებათა ნაწილი, რომელიც გულისხმობს ქალისა და კაცის თანასწორ უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობას და თანასწორუფლებიან მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.[5]

გენდერული იდეოლოგია - იდეათა და შეხედულებათა სისტემა, რომლის მიზანია ქალებისა და მამაკაცების, როგორც ცალკეულ ინტერესთა ჯგუფების კონსტრუქციული ურთიერთმიმართების დამკვიდრება, ერთგვარი კონსენსუსის მიღწევა.[6]

---

1 საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ: https://matsne.gov.ge/document/view/91624?publication=10

2 https://matsne.gov.ge/ka/document/download/3789678/0/ge/pdf

3 https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/UNDP_GE_DG_Gender_Equality_in_Georgia_VOL1_GEO.pdf

4 http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=3373

5 https://matsne.gov.ge/document/view/91624?publication=10

6 http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=3378

გენდერული ინდიკატორი - გულისხმობს ნებისმიერი საკითხის (პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა, ეკოლოგია და ა.შ.) გენდერული მახასიათებლებით ანალიზს. რაოდენობრივი მაჩვენებლები მოიცავს სტატისტიკურ მონაცემებს და ამა თუ იმ სტრუქტურას, მოვლენას, პროცესს (რეგრესს, პროგრესს) აფასებს გენდერულ ჭრილში, ხოლო ხარისხობრივი მაჩვენებლები აღწერს ამგვარი მიდგომის ეფექტურობას.[7]

გენდერულად მგრძნობიარე/სენსიტიური - გენდერული განსხვავებებისადმი, გენდერული უთანასწორობისადმი და გენდერის, როგორც ადამიანთა შეფასების ფაქტორისადმი მგრძნობიარე და კრიტიკული მიდგომა.[8]

გენდერული სტერეოტიპები -გაბატონებული შეხედულება ქალისა და კაცის მახასიათებლებისა და როლების შესახებ; ანუ,როგორი უნდა იყოს და როგორ უნდა იქცეოდეს ქალი ან კაცი ამა თუ იმ საზოგადოებაში. შესაბამისად, არსებობს ფემინური და მასკულინური სტერეოტიპები, რომელთა საფუძველია ფემინურობა და მასკულინობა.

მასკულინობა - მასკულინობა (ანუ მამაკაცურობა) იმ თვისებათა ნაკრებს გულისხმობს, რომელიც კონკრეტულად მამაკაცთთათვის დამახასიათებლად მიიჩნევა. მისი შესატყვისი ქალებისათვის არის ფემინურობა (ქალურობა). ფემინისტი თეორეტიკოსები მიუთითებენ, რომ მასკულინობის (ისევე, როგორც ფემინურობის) გაგება კულტურულად და ისტორიულად რელატიურია და, შესაბამისად, არ არის დეტერმინირებული სქესთა ბიოლოგიური თავისებურებებით ***(როგორც ცნობილია, საკანონმდებლო დოკუმენტებსა და ოფიციალურ ლიტერატურაში დამკვიდრებულია ტერმინი "მამაკაცი", რომელიც გენდერული თვალსაზრისით ტერმინ "ქალის" ანალოგად, შეუსაბამო ანტონიმად მიგვაჩნია. ჩვენი აზრით, უპირველია "ქალისა" და "კაცის" და არა - "ქალისა" და "მამაკაცის" დამკვიდრება პრაქტიკაში. ამიტომაც, ვემხრობით და მივყვებით პოზიციას, რომ შემდგომში ყოველთვის გამოვიყენოთ "კაცი" და "ქალი", როგორც შინაარსობრივად და ემოციურად შესატყვისი საპირწონე დატვირთვის მქონე ტერმინები. შესაბამისად, წინამდებარე ანგარიშში "მამაკაცს" შეხვდებით მხოლოდ წყაროების ციტირებისას - ავტორები).***

ფემინურობა - ფემინურობა (ანუ ქალურობა) იმ თვისებათა ნაკრებს გულისხმობს, რომლებიც კონკრეტულად ქალის დამახასიათებლად მიიჩნევა. მისი შესატყვისი კაცებისათვის არის მასკულინობა. ფემინისტი თეორეტიკოსები მიუთითებენ, რომ ფემინურობის (ისევე, როგორც მასკულინობის) გაგება კულტურულად და ისტორიულად რელატიურია და, შესაბამისად, არ არის დეტერმინირებული სქესთა ბიოლოგიური თავისებურებებით.[9]

გენდერული ცენზურა - ქალთა მოძრაობის, წარმატებების, დისკრიმინაციის, რეალური მდგომარეობის მიჩუმათების ტექნოლოგია.[10]

სიძულვილის ენა - მოიაზრებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, აქეზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ შუღლს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს ან შეუწყნარებლობაზე დაფუძნებული შუღლის სხვა ფორმებს, ნაციონალიზმის, ეთნოცენტრიზმის, დისკრიმინაციისა და უმცირესობათა ან მიგრანტთა მიმართ გამოხატული მტრობის ჩათვლით (ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1997 წელს მიღებული რეკომენდაცია).[11]

---

7 http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=3385

8 http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=12749

9 http://dictionary.css.ge/content/masculinity

10 http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=3443

11 https://www.qartia.ge/ka/sakhelmdzghvanelo-tsesebi1/article/75684-sidzulvilis-enasthan-brdzola-sakhelmdzghvanelo-tsesebi-mediisthvis

გენდერული დისკრიმინაცია - გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის მუხლი 3-ის 1-ლი პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედებები:

დ) **პირდაპირი დისკრიმინაცია –** ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას სქესის ნიშნით არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ მეორე სქესის პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად;

ე) **ირიბი დისკრიმინაცია –** ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს სქესის ნიშნით არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ მეორე სქესის პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მდგომარეობა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.[12]

სექსიზმი - ადამიანის დისკრიმინაცია ან მისი წინასწარგანწყობით შეფასება მისი სქესის/გენდერის საფუძველზე.

სექსისტური ენა – ისეთი სიტყვები, გამონათქვამები და შეფასებები, რომლებითაც ხდება ადამიანის დისკრიმინაცია სქესის საფუძველზე. სექსისტური ენა გულისხმობს გამონათქვამებს, რომლებიც ამცირებს ქალთა მნიშვნელობას და წვლილს, აკნინებს მათ როლს, საზოგადოებაში ლახავს მათ უფლებებს და შეურაცხმყოფელია ქალისათვის. ქალის ისეთი დახასიათება,გენდერული კუთვნილების გამო, რომ ამა თუ იმ დავალებას, ვერ შეასრულებს.

მედიამონიტორინგი - საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის შეგროვების პროცესი, რომელიც გულისხმობს კონკრეტულ თემაზე, ორგანიზაციაზე ან პროცესზე დაკვირვებას.

მონიტორი – პირი, რომელიც შემუშავებული გეგმისა და მონიტორინგის ინსტრუმენტების მიხედვით ახორციელებს დაკვირვებას.

მონიტორინგის ინსტრუმენტების დოკუმენტი – მონიტორინგის მიზნით შემუშავებული ინფორმაციის მოპოვების სხვადასხვა ინსტრუმენტების ერთობლიობა და მათი გამოყენების ინსტრუქციები.

[12] https://matsne.gov.ge/document/view/91624?publication=10

- კაცი/ქალი;
- გენდერული თანასწორობა;
- გენდერული სამართლიანობა;
- გენდერული (მასკულინური, ფემინური) სტერეოტიპები;
- გენდერული ცნობადობა;
- სექსიზმი;
- სექსუალური ძალადობა;
- სიძულვილის ენა;
- ფემიციდი, ქალთა დისკრიმინაცია, ქალთა პოლიტიკური ჩართულობა/მონაწილეობა;
- ქალთა მიმართ და/ან ოჯახში ძალადობა;
- ქალთა პრობლემატიკა.



შესავალი

როგორც ცნობილია, გენდერული თანასწორობა სტაბილური განვითარების, მშვიდობისა და ბალანსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია სახელმწიფოსთვის. გენდერული თანასწორობის მიზნის მისაღწევად განვითარებული ქვეყნები ახორციელებენ სისტემურ და გააზრებულ პოლიტიკას, რომელიც სათანადო კანონმდებლობითაა უზრუნველყოფილი და ხელს უწყობს ქალთა გაძლიერებას, ქალთა თანაბარი მონაწილეობის საშუალებას პოლიტიკურ ცხოვრებაში, წინააღმდეგობების დაძლევას ყოფიერებაში.

საქართველო, როგორც მშენებარე სამართლებრივი სახელმწიფო იღებს ვალდებულებას ინსტიტუციურად იზრუნოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვაზე, ძალაუფლებისა და პასუხისმგებლობების თანაბარ და ადეკვატურ განხორციელებაზე. ამის დასტურია გენდერული თანასწორობის მისაღწევად საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებები და განხორციელებული ღონისძიებები. საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩო უზრუნველყოფს ქალთა და კაცთა თანასწორობას ცხოვრების ყველა სფეროში და ეს უპირველესად, აღიარებულია ქვეყნის ძირითადი კანონით, კერძოდ კი კონსტიტუციის მე-11 მუხლით (აღნიშნულის შესახებ დაწვრილებით იხ. ქვეთავში: “გენდერული თანასწორობის საკანონმდებლო ჩარჩო”).

ევროინტეგრაციის გზაზე, უდიდეს მნიშვნელობას იძენს საქართველოს პარლამენტის მუშაობა კანონპროექტების პაკეტზე ევროკომისიის 12-პუნქტიანი რეკომენდაციების ფარგლებში, რაც გენდერული თანასწორობის გაძლიერებისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასაც მიემართება. ევროკომისიის ზეპირ მოხსენებაში დაფიქსირდა, რომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად დასახული 12 რეკომენდაციიდან საქართველოს 2023 წლის ზაფხულისათვის შესრულებული აქვს სამი და მათ შორისაა - გენდერული თანასწორობის გაძლიერებისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ძალისხმევის კონსოლიდაცია[13], რაც უდავოდ, მისასალმებელი ფაქტია, თუმცა ქვეყანაში ფემიციდის მასშტაბის ფონზე მნიშვნელოვანი და შედეგის მომტანი იქნებოდა კონკრეტულად ამ პრობლემაზე ფოკუსირებული სხვადასხვა ტიპის ძალისხმევის გაძლიერება.

აღსანიშნავია ისიც, რომ გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მედიას, რომელსაც შეუძლია გამართული, წიგნიერი მიდგომით საზოგადოებას უჩვენოს პრობლემის მრავალწახნაგიანობა და მისი ცივილურად გადაჭრის გზები, ხელი შეუწყოს სტერეოტიპების, დისკრიმინაციის აღმოფხვრასა და გენდერული თანასწორობის დამკვიდრებას. სწორედ მასმედიაა საზოგადოებრივი ყოფიერების ის მნიშვნელოვანი ნიშა, რომელსაც შეუძლია ადამიანის ძირითადი უფლებებისა

[13] https://www.radiotavisupleba.ge/a/32468959.html

და თავისუფლებების პატივისცემის ურყევი, მტკიცე ნება თვალსაჩინო გახადოს.

მედიას, როგორც მასობრივი კომუნიკაციის ტრადიციულ საშუალებას, უახლესი ტექნოლოგიის ფართო სპექტრის ჩათვლით, აქვს განუზომელი ძალა ხელი შეუწყოს სტერეოტიპების, დისკრიმინაციის აღმოფხვრასა და გენდერულ თანასწორობას.

მასმედიის მუშაობა განუზომელ ძვრებს იწვევს საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მედიასაშუალებებში გენდერული პოლიტიკისა და გენდერულად მგრძნობიარე მედიამენეჯერების არსებობა.

თუ მედიას არ გააჩნია შესაბამისი გენდერული პოლიტიკა, გენდერულად მგრძნობიარე მენეჯმენტი და ჟურნალისტი, მაშინ ის ხელს უწყობს გენდერული სტერეოტიპების კვლავწარმოებას. და პირიქით - მედიას შეუძლია ხელი შეუწყოს გენდერული სტერეოტიპების მსხვრევასა და ჯანსაღი პრაქტიკების დამკვიდრებას. ამდენად, უდიდესი როლი ენიჭება მედიას, როგორც გენდერული თანასწორობის პრაქტიკაში რეალიზაციის ერთ-ერთ ინსტრუმენტს.

გენდერული თანასწორობის **რეგულაციების ჩარჩოში მოქმედების** კონტექსტში უმნიშვნელოვანესია საზოგადოებრივი მაუწყებლის, როგორც ვალდებული სახელმწიფო ინსტიტუციის განსაკუთრებული როლი **ქალთა უფლებრივი მდგომარეობისა და გენდერული თანასწორობის საკითხების გაშუქებისას. ქალისა და კაცის თანასწორობის ფუნდამენტური უფლების რეალიზების აუცილებლობა არა მხოლოდ კანონით უნდა იყოს აღიარებული, არამედ ეფექტიანად გამოიყენებოდეს მავნე პრაქტიკების აღმოსაფხვრელად, რომლებიც ერთ-ერთი სქესის არასრულფასოვნების ან უპირატესობის იდეას, ან კაცისა და ქალის როლის სტერეოტიპულ გააზრებას ემყარება. მათ შორის, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა პროგრამაში უნდა ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება.**

ერთიან სახელმწიფოებრივ ძალისხმევასთან ერთად სწორედ ამას ემსახურება პარტნიორი სახელმწიფოებისა და ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ის დახმარება, რომელიც გენდერულ პრობლემატიკაზეა მიმართული.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, მიზნად დავისახეთ დაკვირვება მედიაზე გენდერული თვალსაზრისით, რათა გამოგვევლინა ძირითადი გამოწვევები და პრობლემატიკა, რაც თავს იჩენს მედიადისკურსში და უთანასწორობის აღმოფხვრის გზაზე ერთ-ერთ დაბრკოლებად გვევლინება.

შესაბამისად, თემატური მონიტორინგის განხორციელების შედეგად შევეცადეთ პასუხი გაგვეცა კითხვებზე - როგორი მიდგომა აქვს ტელემედიას ისეთი სენსიტიური საკითხებისადმი, როგორებიცაა: გენდერული თანასწორობა, ფემიციდი, ქალთა მიმართ და/ან ოჯახში ძალადობა, დისკრიმინაციული/სტერეოტიპული გამონათქვამი, სიძულვილის ენა და ა. შ. მედიამონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ტენდენციები - შესაბამისი მიგნებები დასკვნებში ავსახეთ, რაც შემდგომ რეკომენდაციებს დაედო საფუძვლად.

მიგნებები

2023 წლის სამი თვის მანძილზე (თებერვალი, მარტი, აპრილი) განხორციელებული ტელე-მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი:

- **ქალების წარმოჩენა საქართველოს სატელევიზიო სივრცეში მნიშვნელოვნად ჩამორჩება კაცებისას;** თუ ქალი და კაცი წამყვანები დაახლობით თანაბრად არიან წარმოდგენილნი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში, იუმორისტულ გადაცემებში ქალები წამყვანებად საერთოდ არ პოზიციონირებენ. ქალები ნაკლებად არიან ასევე, წარმოდგენილნი როგორც გასართობი ტიპის, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში სტუმრებად/რესპონდენტებად;

- **სატელევიზიო ეთერში ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა გენდერული თვალსაზრისით აქტუალურ პრობლემებსა და გამოწვევ**ებს, როგორებიცაა: ფემიციდი, სექსუალური ძალადობა, ქალების დისკრიმინაცია; ასეთი თემები ნაკლებად შუქდება. ფოკუსირებულად არ განიხილება გენდერული თვალსაზრისით საინტერესო დატვირთვის მქონე ფაქტები და საკითხები. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ტოქშოუებში ქალთა/გენდერული თემები უმნიშვნელოდაა წარმოდგენილი;

- **სამონიტორინგო პერიოდის სატელევიზიო სივრცეში ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა ისეთ მოვლენებსა და ღონისძიებებს, რომლებიც ქალების მიერ არის ორგანიზებული** ან რაიმე სახით ქალების მტკიცე პოზიციების გამოხატულებაა, რაც მიანიშნებს, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში საკუთრივ გენდერული თემატიკა აქტუალური არ არის. აქ ხაზი უნდა გავუსვათ, რომ სამონიტორინგო პერიოდში განსაკუთრებით აქტუალური იყო „უცხოური გავლენის აგენტების შესახებ კანონპროექტის“ განხილვის პროცესი და თანმდევი მოვლენები: მარტის საპროტესტო აქციები. ამ პერიოდში ჩატარდა მასშტაბური „ქალების მარში“, რომელიც ქალების მტკიცე პოზიციების გამოხატულება იყო აღნიშნული კანონპროექტისადმი, თუმცა, ამ საკითხს არ დაეთმო ჯეროვანი ყურადღება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში;

- **გენდერული თემატიკის გაშუქება არ არის საზოგადოებაში არსებული გამოწვევების** (ფემიციდი, ძალადობა, ქონებრივი და სხვა სახის დისკრიმინაცია) **შესატყვისი.** ქალთა საკითხების გაშუქებას უფრო კამპანიური ხასიათი აქვს და ყოველი კონკრეტული კაზუსიდან გამომდინარეობს, არ იგრძნობა სისტემური მიდგომა;

- **გენდერული სტერეოტიპები ფიქსირდება უმეტესად გასართობ გადაცემე**ბში; საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში გენდერული სტერეოტიპები თითქმის არ გვხვდება;

- სამონიტორინგო არეალის მედიანარატივში **უფრო ხშირია ფემინური სტერეოტი**პები, ვიდრე - მასკულინური; მედიანარატივში ისევე, როგორც საზოგადოებაში **უფრო ჩვეული და გამჯდარია ფემინური სტერეოტიპები** და მათი გამოყენება საჯაროდ არ ქმნის უხერხულობას რესპონდენტებისა და წამყვანებისთვის;

- გასართობი გადაცემებში ვხვდებით ისეთ სტერეოტიპულ ფრაზებს, როგორებიცაა: “მამალი ქალი”, “ქერა ქალის თვალით დანახული პოლიტიკა”, “ძვირფასი მანდილოსანი”, “ბიჭური გოგო”;

- **მასკულინურ სტერეოტიპებში** ჭარბობს მახასიათებლები: გადაწყვეტილების მიღება, პროფესიების დაყოფა ქალურ და კაცურ პროფესიებად და კაცის გონების უპირატესობით აპელირება. აღსანიშნავია, რომ საერთოდ არ ფიქსირდება ისეთი სტერეოტიპი, როგორიცაა კაცური საქმე ოჯახში;

- **ფემინურ სტერეოტიპებში** ჭარბობს მახასიათებლები: ქალის ემოციურობა და სისუსტე;

- **სიძულვილის ენა, დისკრიმინაციული გამონათქვამები** მიემართება როგორც ქალებს, ასევე - კაცებს, თუმცა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში ნაკლებია დისკრიმინაციული გამონათქვამები ქალთა, ვიდრე კაცთა მიმართ;

- **სიძულვილის ენა და დისკრიმინაციული გამონათქვამები ფიქსირდება უმეტესად პოლიტიკური და არა გენდერული ნიშნი**თ; სიძულვილის ენა უმეტესად საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებზე მოდის;

- **გენდერულად არამგრძნობიარე გადაცემები და საკუთრივ გადაცემებში - გენდერულად არამგრძნობიარე მიდგომები ხშირია.** მიუხედავად მიმდინარე აქტუალობისა, გენდერული თვალსაზრისით საინტერესო დატვირთვის მქონე ფაქტები და მნიშვნელოვანი საკითხები შუქდება ნაკლებად, ან შუქდება არასწორი აქცენტებით, ან იკვეთება დისკრიმინციული მიდგომები.

დასკვნა

განხორციელებული მონიტორინგის შედეგების შეჯერებით შეიძლება დავასკვნათ, რომ მიდგომა გენდერული თემების/პრობლემატიკისადმი არ არის სისტემური და თანმიმდევრული. მედიაში არ ჩანს გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული ინსტიტუციების (გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო, ომბუდსმენის ოფისის გენდერული დეპარტამენტი, შესაბამისი სამთავრობო კომისია და ადგილობრივი გენდერული საბჭოები) საქმიანობა და ძალისხმევა.

გენდერული თემების/პრობლემატიკის ნაკლები აქტუალობა ეთერებში მიანიშნებს საკითხისადმი სარედაქციო დაინტერესების ნაკლებობას, გენდერული თემების დატოვებას სარედაქციო პოლიტიკის მიღმა, მიდგომის **არათანმიმდევრულობას, გენდერული წიგნიერების შუესაბამო დონეს.** აღნიშნულის დასტურია ტელეეთერებში კაცებთან შედარებით ქალთა წარმოჩენისა და შესაბამისად, მიმდინარე პროცესების გაშუქება-განხილვაში მათი ჩართულობის მნიშვნელოვნად ჩამორჩენა.

ქართულ ტელემედიაში, რომელიც საზოგადოების მოთხოვნების ანარეკლია, კვლავაც აქტუალურია გენდერულად სტერეოტიპული მიდგომები და აზროვნება. თუმცა, საკვლევი პერიოდის მასალაში გამოვლენილი სტერეოტიპები უფრო ფიქსირდება გასართობ გადაცემებში, ვიდრე - საზოგადოებრივ-პოლიტიკურში. ეს მიუთითებს, რომ სატელევიზიო გადაცემების რესპონდენტები (საჯარო პირები თუ ექსპერტები) ცდილობენ კანონმდებლობის/ფორმალური წესრიგის დაცვას საჯარო დისკურსში. მიუხედავად იმისა, რომ სტერეოტიპულ აზროვნებაში გარდატეხის პროცესია დაწყებულია, ხდება გენდერული სტერეოტიპების კვლავწარმო**ება,** ტირაჟირება და ჩანაცვლება - ძველი სტერეოტიპების ადგილს ახალი იკავებს, რაც ასევე, საზოგადოებაში არსებული განწყობების ანარეკლია.

სატელევიზიო გადაცემებში ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა მიმდინარე, გენდერული თვალსაზრისით აქტუალურ პრობლემებს, როგორებიცაა: ფემიციდი, სექსუალური ძალადობა, ქალთა დისკრიმინცია. მიუხედავად იმისა, რომ ქალზე ძალადობა, ფემიციდი მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს საზოგადოებაში, სამონიტორო პერიოდში არცერთი ცალკე აღებული გადაცემა მთლიანად არ ყოფილა ფოკუსირებული აღნიშნულ პრობლემატიკაზე. პრეფერენციებში არ შედის დისკუსია აღნიშნული გამოწვევებზე.

სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციული გამონათქვამების დაფიქსირება უმეტესად პოლიტიკური და არა გენდერული ნიშნით, მიუთითებს პოლარიზაციაზე, რაც პროცესების რადიკალიზაციის მანიშნებელია. საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების რესპონდენტთა ლექსიკაში ხშირია სიძულვილის ენა - მათ შორის, შეგნებულად გამართული ფრაზები და არა წამოცდენები. ასევე დისკრიმინაციული გამონათქვამები, როგორც ქალი, ისე კაცი პოლიტიკოსების მიმართ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, სიძულვილის ენის გამოყენება არ არის ნიშნეული საკუთრივ გენდერული თვალსაზრისით და მისი ადრესატი უფრო პოლიტიკური ოპონენტია და არა საკუთრივ ქალი ან კაცი. ასეთი შემთხვევებისადმი სარედაქციო მიდგომა შემწყნარებლურია. არ ხდება სიძულვილის ექსპრესიის დაგმობა/აღკვეთა სტუდიაშივე, გადაცემი წამყვანი/ავტორის ან ჟურნალისტის მიერ, რასაც მას ავალდებულებს ჟურნალისტური ეთიკა და შესაბამისი რეგულაციები.

ზოგადად, ტელემედიაზე დაკვირვებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მიდგომა გენდერული თემების/პრობლემატიკისადმი საჭიროებს ჟურნალისტთა პროფესიონალიზაციის შემდგომ გაუმჯობესებას ამ კუთხით და საჯარო პირების/პოლიტიკოსების პასუხისმგებლობის ამაღლებას საჯარო დისკურსის შესატყვისობისადმი, რაც სათანადო კანონმდებლობითა და რეგულაციებითაა გათვალისწინებული.

განხორციელებული მონიტორინგის შედეგად იკვეთება გენდერული წიგნიერების შემდგომი გაუმჯობესების აუცილებლობა.

რეკომენდაციები

რადგანაც განხორციელებული მონიტორინგის შედეგად მიღებული მიგნებებისა და შესაბამისი მასალის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით იკვეთება ჟურნალისტთა/გადაცემის პროდიუსერთა და წამყვანთა გათვითცნობიერებულობის ზრდის აუცილებლობა გენდერული მგრძნობელობის საკითხებში, გენდერული სტრატეგიებისა და კანონმდებლობის ფარგლებში აუცილებელია ძალისხმევის გაძლიერება მხარეთა ინკლუზიურობით. სასურველია ამ პროცესში ჩართული იყოს ისეთი ინსტიტუციები, როგორებიცაა: **გენდერული** თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო, ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, ომბუდსმენის ოფისი.

ქვეყანაში ფემიციდის მასშტაბის ფონზე გენდერულ საკითხებზე საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების მიზნით მნიშვნელოვანი და შედეგის მომტანი იქნებოდა კონკრეტულად ამ პრობლემაზე ფოკუსირებული ძალისხმევის გაძლიერება. კერძოდ:

- **გენდერული/ადამიანის უფლებათა სწავლების პროცესის უწყვეტობის, თანმიმდევრულობისა და განმეორებადობის უზრუნველყოფა ყველა დონეზე (სკოლა, სასწავლებელი, დიპლომის შემდგომი პერიოდი) - განმახორციელებელი: განათლებისა და შს სამინისტროები, თემატური არასამთავრობო ორგანიზაციები, მათ შორის - ჟურნალისტური ეთიკის ქარტია;**
- **ფემიციდისა და ძალადობის წინააღმდეგ მიმართული სისტემური კამპანიებისა და ინკლუზიური საგანამანათლებლო მუშაობის განხორციელება - განმახორციელებელი: შსს, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო, თემატური არასამთავრობო ორგანიზაციები და დაინტერესებული ჯგუფები.**
- **საგანმანათლებლო და შემეცნებითი გადაცემებისა და მოდულების მომზადებისა და რეალიზაციის უზრუნველყოფა სხვადასხვა ტიპის პროფესიონალთა (იურისტი, სოციალური მუშაკი, გენდერის სპეციალისტი, ფსიქოლოგი) ჩართულობით - განმახორციელებელი: განათლებისა და შს სამინისტროები;**
- **ჟურნალისტთა მომზადება/სწავლება/გადამზადება სხვადასხვა დონეზე - განმახორციელებელი: განათლების სამინისტრო და ჟურნალისტთა პროფესიული ორგანიზაციები.**
- **სასურველია, ასევე, მედიადისკურსის შერჩევითი მონიტორინგის განხორციელება და გადაცდომებზე რეაგირების მექანიზმების დაწესება.**

გენდერული თანასწორობის საკანონმდებლო ჩარჩო

გენდერული უთანასწორობა საქართველოში კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება. საზოგადოებრივი ცნობიერების შეცვლაში, სწორი მიდგომებისა და პრაქტიკის დამკვიდრებაში მნიშვნელოვანი როლი მედიასაშუალებებსა და მათ სარედაქციო პოლიტიკას ეკისრება.

მედიას თითოეულ ოჯახამდე შეუძლია მიიტანოს და დაანახოს რეალური პრობლემა, მისი სიმძიმე და შედეგები გენდერულ უთანასწორობასა და საზოგადოებაში მყარად ფესვგადგმულ სტერეოტიპულ განწყობებზე, ასევე, დისკრიმინაციულ პრაქტიკაზე, რაც ხშირად ხელს უწყობს ქალთა უფლებების კიდევ უფრო მეტად დარღვევას. მასმედიამ დიდი წვლილი უნდა შეიტანოს ისეთი ფასეულობების დამკვიდრებაში, როგორებიცაა: ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა.

ადამიანის თანასწორობისა და თავისუფლების ძირითადი უფლებების გარეშე ვერ იარსებებს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო. ამიტომაც თავისუფლების ძირითად უფლებებთან ერთად საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს თანასწორობის ძირითად უფლებებს, რაც უზრუნველყოფილია კონსტიტუციის მე-11 მუხლით.

კონსტიტუციით გარანტირებულია თანასწორობის უფლება, რომლითაც უზრუნველყოფილია ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე: “აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად”.[14]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო ხელშეკრულება „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია“,[15] ავალდებულებს სახელმწიფოს მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა, რათა აღმოფხვრას ტრადიციული ადათ-წესები და პრაქტიკა, რომელიც ხელს უწყობს სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციასა და გენდერული სტერეოტიპების განმტკიცებას.

[14] მუხლი 11 პუნქტი 3 საქართველოს კონსტიტუცია.

[15] 22/09/1994 კონვენცია რატიფიცირებულის საქართველოს მიერ https://matsne.gov.ge/document/view/37372?publication=0

ქვეყანა CEDAW კონვენციის თანახმად, აღიარებს დისკრიმინაციას არსებობას და სქესთა თანასწორობის აუცილებლობას.

* აღიარებს სახელმწიფოს მხრიდან ზომების მიღების აუცილებლობას დისკრიმინაციის აღსაკვეთად.

* იღებს ვალდებულებას კონვენციით გათვალისწინებული სამართლებრივი მოთხოვნები ეროვნულ კანონმდებლობაში ასახოს.

* სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას აღნიშნული დებულებები ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

ჯერ კიდევ ბოლო დრომდე საქართველოს ტელემაუწყებლობაში მრავლად გადაიცემოდა სექსისტური[16] რეკლამები. ასევე, აღსანიშნავია საზოგადოებრივი მაუწყებლის აქტიურობა ქალთა უფლებრივი მდგომარეობისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე. არსებულ პრობლემებზე სწორი აქცენტების დასმა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისას თანასწორობის იდეისა და სულისკვეთების დამკვიდრების მცდელობა ნამდვილად დაფიქსირდა საქართველოს კანონში საზოგადოებრივი მაუსწყებლის შესახებ. კანონის 50-ე მუხლის თანახმად, მიღებულ იქნა მაუწყებლის ქცევის კოდექსი. ამავე კოდექსის მუხლი 14. მაუწყებელს ავალდებულებს ქცევის კოდექსის საფუძველზე შექმნას მაუწყებლის თვითრეგულირების ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საჩივრების განხილვასა და მათზე დროულ და დასაბუთებულ რეაგირებას.

„გენდერული თანასწორობის შესახებ“[17] საქართველოს კანონის თანახმად, გენდერული თანასწორობა ადამიანის უფლებათა ნაწილს წარმოადგენს, რომელიც გულისხმობს ქალისა და კაცის თანასწორ უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობასა და თანსწორუფლებიან მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. კანონის მიხედვით, დისკრიმინაციად განიხილება სქესის ნიშნით ნებისმიერი განსხვავება, გამიჯვნა, ან/და შეზღუდვა, რომელიც გამოხატულია უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების განსხვავებული აღიარებით, შესაძლებლობის არათანაბარი წარმოჩენით, შესუსტებით, ან უარყოფით და ხორციელდება პირდაპირი თუ ირიბი დისკრიმინაციის ფორმით. შესაბამისად, კანონმდებელი ახდენს დისკრიმინაციის ცნების დიფერენციაციას. დისკრიმინაციად განიხილავს არა მხოლოდ უშუალო დისკრიმინაციული ხასიათის მოქმედებას, არამედ ისეთ მოქმედებასაც, რომელიც, მართალია, არ ატარებს დისკრიმინაციულ ხასიათს, მაგრამ მისმა განხორციელებამ შეიძლება დისკრიმინაციული შედეგი გამოიღოს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი მაუწყებლის აქტიურობას ქალთა უფლებრივი მდგომარეობისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე, რადგან ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობა წარმოადგენს ფუნდამეტურ უფლებასა და არსებით ფასეულობას ყველა დემოკრატიისათვის. იმისათვის, რომ ეს უფლება რეალიზებულ იქნას, არა მარტო კანონით უნდა იქნას აღიარებული, არამედ ეფექტიანად გამოიყენებოდეს ყველა ცხოვრებისეულ ასპექტში იმ პრაქტიკის აღმოსაფხვრელად, რომელიც ემყარება ერთ-ერთი სქესის არასრულფასოვნების ან უპირატესობის იდეას, ან კაცისა და ქალის როლის სტერეოტიპულ გააზრებას.

[16] სექსისტური ენა – ისეთი სიტყვები, გამონათქვამები თუ შეფასებები, რომლებითაც ხდება ადამიანის დისკრიმინაცია სქესის საფუძველზე. სექსისტური ენა გულისხმობს გამონათქვამებს, რომლებიც ამცირებს

[17] მუხლი 3. „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის

ეროვნული კანონმდებლობის მიმოხილვა

საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება - „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ და ის ზოგადი პრინციპები,[18] რომლებიც ძირითად ბაზისს ქმნის სამაუწყებლო მედიასივრცესა და ჟურნალისტთა საქმიანობაში (სიზუსტე, მიუკერძოებლობა, დაბალანსებული გაშუქება,[19] მათ შორის, გენდერული საკითხების გაშუქება, რომელიც ეხება ქალთა და 18 წლამდე გოგონების უფლებებს) არეგულირებს რიგ მნიშვნელოვან საკითხებს:

- საზოგადოებრივმა მაუწყებლობამ პროგრამაში უნდა ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება.[20]
- საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია სამართლიანობის და მიუკერძოებლობის შენარჩუნებით, უზრუნველყონ ფაქტების ზუსტი და სამართლიანი გაშუქება, ფაქტისა და აზრის მკაფიო გამიჯვნა და აზრის ავტორის იდენტიფიცირება.
- მაუწყებლები ვალდებულნი არიან ახალი ამბების პროგრამებში უზრუნველყონ ფაქტებსა და მოვლენებთან დაკავშირებული ყველა საგულისხმო განსხვავებული აზრის სათანადოდ წარმოჩენა რომელიმე ჯგუფისა თუ აზრის დისკრიმინაციის გარეშე.[21]
- აკრძალულია ისეთი პროგრამის ან რეკლამის გავრცელება, რომელიც ახდენს პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ შეზღუდული შესაძლებლობის, ეთნიკური, სოციალური წარმომავლობის, გენდერის, სქესის, გენდერული მიკუთვნების, ეროვნების, რასის, რელიგიის ან რწმენის, სექსუალური ორიენტაციის, კანის ფერის, გენეტიკური მახასიათებლების, ენის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული უმცირესობის წევრობის, ქონების, დაბადების ადგილის ან ასაკის ნიშნის მიხედვით ძალადობის ან სიძულვილის წაქეზებას (სიძულვილის ენა).[22]
- აკრძალულია პორნოგრაფიის შემცველი პროგრამის ან რეკლამის, აგრეთვე ადამიანის/მოქალაქის ღირსებისა და ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შემლახავი ისეთი პროგრამის ან რეკლამის განთავსება, რომელიც უხამსობას შეიცავს. [23]

[18] მოიაზრება (იგულისხმება) საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, რომელიც ეფუძნება „ადამიანის ძირითადი უფლებათა და თავისუფლებათა ევროპულ კონვენიცას“ (EHRC) მე-10 მუხლსა და „ჟურნალისტის ქცევის პრინციპევის დეკლარაციას“საერთაშორისო დეკლარაცია ცხადდება როგორც სტანდარტი იმ ჟურნალისტთა პროფესიული საქმიანობისა, რომლებიც ჩართული არიან ახალი ამბებისა და ინფორმაციის შეგროვებაში, გადაცემაში, გავრცელებასა და ასევე მოვლენათა აღწერაში. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=5181

[19] პრინციპები პროფესიული ქცევის სტანდარტებია ჟურნალისტებისთვის, პროფესიული სამიანობის განხორციელების დროს:ინფორმაციის მოპოვებისას, გადაცემისას, გავრცელებისას და მიმდინარე მოვლენებზე კომენტარის განხორციელებისას.

[20] მუხლი 16 პირველი პუნქტის თ) ქვეპუნქტი საქართველოს კანონი „მაუწყებლის შესახებ“

[21] მუხლი 54, პირველი და მეორე პუნქტი

[22] მუხლი 55[2.] პირველი პუნქტი

[23] მუხლი 3, „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“

თვითრეგულირების დამოუკიდებელი ინსტიტუციური მექანიზმები

მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონმა დაავალდებულა მაუწყებლები, შეექმნა მოქალაქეთა საჩივრების განხილვის ეფექტიანი და გამჭვირვალე მექანიზმები. 2009 წელს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“[24] დაამტკიცა, რომელიც ჟურნალისტთა პროფესიული ქცევის სტანდარტებს განსაზღვრავს და რომელთა დარღვევის შემთხვევაში, მოქალაქეებს აქვთ უფლება, ცალკეული მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს საჩივრით მიმართონ.

მაუწყებლებელი ვალდებულია:

- გაითვალისწინოს შემდეგი პრინციპი: კერძოდ, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ინტერესები განურჩევლად მათი პოლიტიკური, კულტურული, ეთნიკური, რელიგიური, რეგიონული, ენობრივი, ასაკობრივი თუ გენდერული კუთვნილებისა.25
- მაუწყებელმა უნდა გაითვალისწინოს მრავალფეროვნება, თანასწორობა და შემწყნარებლობის პრინციპი და თავი შეიკავოს ისეთი მასალის გამოქვეყნებისგან, რომელიც გააღვივებს სიძულვილს ან არატოლერანტობას რასის, ენის, სქესის, რელიგიური კუთვნილების, პოლიტიკური შეხედულებების, ეთნიკური, გეოგრაფიული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე.26
- მაუწყებელი ვალდებულია სამაუწყებლო ბადეში განათავსოს ზუსტი და სარწმუნო, დაბალანსებული, პროპორციული და თანაზომადი ინფორმაცია საქართველოში მცხოვრებ ყველა კულტურულ, რელიგიურ, ეთნიკურ ჯგუფსა და სოციალურ ფენაზე სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით.
- მაუწყებელმა პატივი უნდა სცეს აზრის, სინდისის, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების ფუნდამენტურ უფლებებს და თავიდან აიცილოს ნებისმიერი ეთნიკური, რელიგიური, კულტურული ან სოციალური ჯგუფის შეურაცხყოფა.
- მაუწყებელმა პატივი უნდა სცეს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს.27
- რეკომენდირებულია მაუწყებელმა თავიდან აიცილოს რელიგიური, ეთნიკური, ან სხვა ნიშნის მიხედვით რომელიმე ჯგუფის შეურაცხყოფა, მათ შორის, გარკვეული ლექსიკის ან გამოსახულების გამოყენება. ეს მოთხოვნა არ უკრძალავს მაუწყებელს, ხელი შეუწყოს ინფორმირებულ და არაცალმხრივ დისკუსიას შეუწყნარებლობის ან დისკრიმინაციის საკითხებზე, ან გადასცეს ფაქტობრივი მასალა ან საზოგადოებაში რეალურად არსებული მოსაზრება.
- თუ წყარო პირდაპირ ეთერში ან ახალ ამბებში უსაფუძვლოდ ასახელებს ეთნიკურ წარმომავლობას, რელიგიურ მრწამს, სექსუალურ ორიენტაციას, ოჯახურ ან ქონებრივ მდგომარეობას, სოციალურ კუთვნილებას, ან ნებისმიერ სხვა ნიშანს, როგორც პრობლემის გამომწვევ მიზეზს ან იყენებს შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას რომელიმე

[24] „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დამტკიცების თაობაზე“ https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/82792?publication=1#! გადამოწმებული 18.09.20 და 23.09.20

[25] „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“, მუხლი 3

[26] „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“, მუხლი 31

[27] „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“, მუხლი 32

ჯგუფის მიმართ, წამყვანი არ უნდა აყვეს ასეთ დიალოგს და შეეცადოს შეურაცხმყოფელი განცხადების ავტორს დაუსვას შეკითხვა გამოთქმული მოსაზრების დასაბუთების მიზნით.

- სექსუალური, გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის სცენებზე დაუშვებელია სცენის გრაფიკული გამოსახვა და გადაცემა, 06.00 საათიდან 24.00 საათამდე;
- სექსუალური სცენებისა ან/და სქესობრივი ურთიერთობის შესახებ განხილვების ეთერში გადაცემა 20:00 საათიდან 23:00 საათამდე, გამართლებულია მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესის არსებობისას, ჯეროვნად შემოკლებული და რედაქტირებული ფორმით. 28
- სამაუწყებლო პროგრამათა კატეგორიების განმსაზღვრელი კრიტერიუმებში მოიაზრება 18 წლამდე გოგონები:

1) არასრულწლოვნებისთვის შეუფერებლად ჩაითვლება სამაუწყებლო პროგრამა, თუ ის შეიცავს:

ა) სქესობრივი აქტის ან სექსუალური ძალადობის ამსახველ გრაფიკულ სცენებს;

ბ) არასრულწლოვნის მონაწილეობით ან გაუკუღმართებული ფორმით სექსუალური ურთიერთობის ამსახველ სცენებს;

გ) ნარკოტიკების დამზადებისა და მოხმარების წესის ახსნა-განმარტებასა და მოხმარების გამართლებას ან მოწონებას;

დ) თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარების გამართლებასა და მოწონებას;

ე) თვითმკვლელობის, მკვლელობისა ან სიკვდილით დასჯის სცენების გრაფიკულ ასახვას ახლო ხედით ან 15 წამზე მეტი ხნით;

ვ) იოლად ხელმისაწვდომი საყოფაცხოვრებო იარაღის გამოყენებას (დანა, ნაჯახი და ა.შ.) ზიანის მიყენების მიზნით ან მკვლელობისთვის;

ზ) ძალადობის ამსახველ სცენებს ახლო ხედით ან 15 წამზე მეტი ხნით (გარდა შემეცნებით-საგანმანათლებლო, ისტორიული, ფანტასტიკური ან კომედიური ჟანრის პროგრამებისა).

2) 15 წლამდე არასრულწლოვნებისთვის შეუფერებლად ჩაითვლება პროგრამა, თუ ის შეიცავს:

ა) ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სიუჟეტებსა და სცენებს;

ბ) სიშიშვლეს სექსუალურ კონტექსტში, სექსუალურ სცენებს ან მათ გრაფიკულ ასახვას;

გ) შეურაცხმყოფელ ლექსიკას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს გამართლებულია კონტექსტით;

დ) ნარკოტიკული საშუალებებისა და მათ მოხმარებასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას.

3) 12 წლამდე არასრულწლოვნებისთვის შეუფერებლად ჩაითვლება პროგრამა, რომელიც შეიცავს:

ა) ამ მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრულ სიუჟეტებსა და სცენებს;

ბ) შეურაცხმყოფელ ლექსიკას.[29]

4) 7 წლამდე არასრულწლოვნებისთვის შეუფერებლად ჩაითვლება პროგრამა, რომელიც შეიცავს ამ მუხლის მესამე პუნქტით განსაზღვრულ სიუჟეტებსა და სცენებს, აგრეთვე მხატვრული, დოკუმენტური ან მულტიპლიკაციური ფილმი, რომელიც შეიცავს ამ

[28] „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“, მუხლი 33

[29] „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“, მუხლი 45

ასაკობრივ ჯგუფზე ძლიერი ემოციური (ნეგატიური) ზეგავლენის მომხდენი შინაარსის ამსახველ სიუჟეტებსა და სცენებს.

სახელმძღვანელო რეკომენდაციები მაუწყებლის დანაშაულისა და ანტისოციალური ქმედების გაშუქების შესახებ:

- მაუწყებელმა თავიდან უნდა აიცილოს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის დაზარალებულის ვინაობის გამჟღავნება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაზარალებული თანახმაა და არსებობს საზოდოებრივი ინტერესი.[30]

სახელმძღვანელო რეკომენდაციები მაუწყებლის მიერ პოტენციური ზიანისა და შეურაცხყოფისაგან დაცვის შესახებ:

- აუდიტორიის შეურაცხყოფის თავიდან აცილების მიზნით მაუწყებელი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდოს შეურაცხმყოფელი ლექსიკის გამოყენებას.
- დაუშვებელია ძალადობის სენსაციად გადაქცევა. შესაძლებელია საჭირო იყოს შოკისმომგვრელი მასალის გამოყენება, მაგრამ ეს გადაწყვეტილება ძალზე ფრთხილი ანალიზის შემდეგ უნდა იქნას მიღებული.
- ძალადობის გაშუქებაზე გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ფაქტორები, რომელთა ერთობლიობამაც შეიძლება აუდიტორიაზე ძალადობის ემოციური ზემოქმედების ხარისხი გაზარდოს:
- საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ჩადენილი ძალადობა: ოჯახური ძალადობა, გასართობ დაწესებულებებსა და კვების ობიექტებში მომხდარი ძალადობა, ხულიგნობა, საგზაო შემთხვევების შედეგად დაპირისპირება და ყაჩაღობა.
- შემთხვევები, სადაც დაზარალებულნი მოხუცები, შეზღუდული შესაძლებლობების პირები, ქალები ან ბავშვები არიან.
- ვერბალური და არავერბალური აგრესია;
- დაუშვებელია სექსუალური და ნებისმიერი სხვა ძალადობის მისაღებად წარმოჩენა.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტია[31] განგვიმარტავს, რომ ჟურნალისტი უნდა ებრძოდეს დისკრიმინაციულ გამონათქვამებს.[32] ქარტიის მეშვიდე მუხლის თანახმად: "ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით.

მუხლის განმარტება: ამ მუხლის განხილვისას კონტექსტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. პირდაპირ ეთერში მიწვეული სტუმრის მიერ გაკეთებულ დისკრიმინაციულ განცხადებებს ჟურნალისტი პირდაპირ ეთერშივე უნდა გაემიჯნოს და დაუპირისპირდეს. თუ ჩანაწერია, მკაფიოდ უნდა ჩანდეს, რომ არატოლერანტული გამონათქვამები არ არის ჟურნალისტის პოზიცია. საჯარო პირს დისკრიმინაციული გამონათქვამი უნდა დაუტოვოს ჟურნალისტმა, კერძო პირს კი, შეიძლება, ამოუჭრას – თუ მიზანი არატოლერანტული გარემოს ჩვენება არ არის.

[30] „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი", მუხლი 50

[31] https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30513-preambula

[32] https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30508-qartiis-principebis-ganmartebebi

მონიტორინგის განხორციელების მეთოდი

განხორციელდა თემატური რაოდენობრივი მონიტორინგი კონტენტანალიზის ტექნიკაზე დაყრდნობით. მონიტორინგი მოიცავს თვისებრივ კომპონენტსაც. შერეული ტექნიკაზე არჩევანის შეჩერება განაპირობა საკვლევი მასალის ხასიათმა - რადგანაც საქმე გვაქვს ისეთ მოცემულობასთან, როგორიცაა ჟურნალისტური ტექსტი, უპრიანად ჩაითვალა ინტეგრირებული მიდგომა - როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მონაცემების შეგროვება-კლასიფიცირება, მათზე დაკვირვება.

რაოდენობრივი კომპონენტი მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა სიხშირით / რაოდენობით/მოცულობით შუქდება წარმოდგენილ თემატურ ნიშაში ქალთა საკითხები (ქალთა პოლიტიკური ჩართულობა პროცესებში; ქალის მიმართ განხორციელებული ძალადობა; გენდერული სტერეოტიპები; სიძულვილის ენა და ა.შ.).

თვისობრივი კომპონენტი მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ შუქდება წარმოდგენილ თემატურ ნიშაში ქალთა საკითხები. აქ გამოყოფილი და შეფასებული იქნა შესაბამისი ტექსტუალური მასალის ხასიათი.

მონიტორინგის განხორციელებისას გათვალისწინებულია იქნა ისეთი საკვანძო მომენტები, როგორებიცაა: საკითხების სამართლიანი და გენდერულად მგრძნობიარე გაშუქება.

მონიტორინგის სტრატეგიის დაგეგმვისას განისაზღვრა:

1) შერჩევის პარამეტრები სპეციალური კრიტერიუმებით;

2) საკვანძო/საძიებო სიტყვები;

3) ანალიზის ერთეული - 1 გადაცემა;

4) შემუშავდა სპეციალური შერჩევის ბარათი (იხ. დანართ N1) გადაცემის შესახებ ინფორმაციის დასამუშავებლად;

5) შერჩევის ბარათით მოხდა თითოეული სამონიტორო გადაცემის პასპორტიზაცია;

6) მოხდა მონაცემების/ცვლადების კოდირება;

7) საბოლოო მონაცემების დათვლა/კლასიფიკაციის შედეგად, შეიქმნა შესაბამისი ცხრილები და დიაგრამები;

8) შედეგები დაითვალა, მოხდა ძირითადი მიგნებების გამოყოფა და მათი ინტერპრეტირება;

9) მიღებული მასალის შეჯერების საფუძველზე შეიქმნა მონიტორინგის საბოლოო ანგარიში შესაბამისი დასკვნებითა და რეკომენდაციებით.

მედიამონიტორინგისთვის მასალის შერჩევა

საპილოტე პროექტის განხორციელების შედეგად (თემატური მონიტორინგის ორკვირიანი ტესტური რეჟიმი) ტელემედიაზე დასაკვირვებლად განისაზღვრა ხუთი თემატური ფოკუსი:

1) ქალთა ჩართულობა მიმდინარე პროცესების გაშუქება-განხილვაში;

2) გენდერული პრობლემატიკის გაშუქება;

3) ქალის მიმართ განხორციელებული ძალადობის გაშუქების ტენდენციები მედიაში;

4) გენდერული სტერეოტიპები ტელემედიაში;

5) დისკრიმინაციული/სიძულვლის ენა ტელემედიაში.

შესაბამისად, მონიტორინგის ამოცანად დაისახა პასუხების გაცემა შემდეგ კითხვებზე:

1) როგორ აშუქებს მედია ქალთა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მონაწილეობას პროცესებში?

2) ეთმობა თუ არა ყურადღება გენდერულ პრობლემატიკას მედიაში?

3) როგორ შუქდება მედიაში ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობა?

4) რა ტიპის გენდერული სტერეოტიპები ფიქსირდება ცენტრალურ ტელემედიაში?

5) ფიქსირდება თუ არა სიძულვილის ენა/დისკრიმინაციული მიდგომა მედიაპროდუქციაში.

საპილოტე პროექტის განხორციელებისა და მედიაექსპერტებთან კონსულტაციის შედეგად მონტორინგისათვის შეირჩა შემდეგი მედია:

1) საზოგადოებრივი მაუწყებელი;

2) ტელეკომპანია „იმედი“;

3) ტელეკომპანია „ტვ პირველი“.

შერჩევის პროცესში გავითვალისწინეთ ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: გარკვეული განწყობები და შესაძლო მიკერძოებულობა. მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ და ყურებადობის რეიტინგები, ასევე მაუწყებლობის მოცვა. მონიტორინგისათვის შეირჩა როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ისე - გასართობი გადაცემები.

მონიტორინგისათვის შერჩეული პოლიტიკური ტოქშოუები (პრაიმთაიმიდან):

1) „თავისუფალი ხედვა“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი) - სამშაბათი, 22:30;

2) „აქტუალური შაბათი“ - (საზოგადოებრივი მაუწყებელი) შაბათი, 21:00;

3) „იმედი ლაივი“ („იმედი“) - სამშაბათი, კვირა, 23:00;

4) „რეაქცია“ („ტვ პირველი“) - სამშაბათი, ხუთშაბათი, 21:00.

მონიტორინგისათვის შეირჩა ასევე, სამი გასართობი გადაცემა:

1) „კაცები“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი) – პარასკევი, 23:00;

2) „ჩვენი შოუ“ („იმედი“) - შაბათი, 22:00;

3) „ვანოს შოუ“ („ტვ პირველი“) - შაბათი, 22:00.

დროითი ჩარჩო: საკვლევ პერიოდად განისაზღვრა 2023 წლის თებერვალი-მარტი-აპრილი. განხორციელდა 114 გადაცემის მონიტორინგი.

მონიტორის მუშაობა

მონიტორის მუშაობა გაიწერა სპეციალურ შიდა სახელმძღვანელო პროტოკოლში.

მონიტორინგს აწარმოებდა სამი შესაბამისად დატრენინგებული მონიტორი სპეციალურად შემუშავებული საკვანძო სიტყვების, შერჩევის პროტოკოლისა და შერჩევის ბარათის მეშვეობით. ინფორმაციამ თავი მოიყარა მონაცემთა საერთო ბაზაში, რომელიც, ასევე კონკრეტული პროექტისათვის შემუშავდა.

საპილოტე მონიტორინგის განმავლობაში მონიტორინგი ხორციელდება ერთიანად და ერთდროულად: ყველა მონიტორი უყურებდა ყველა ტიპის გადაცემას. შერჩეულ მასალას/გადაცემებსა და მიდგომებს აჯერებდნენ ერთმანეთში, რათა შეძლებისდაგვარად მიღწეული ყოფილიყო ერთიანი მიდგომა და ობიექტურობა. სამი კვირის შედეგ ყველა მონიტორს ინდივიდუალურად განესაზღვრა მონიტორინგის არეალი - გადაცემა და დროითი ჩარჩო.

მონიტორინგის განხორციელების პროტოკოლი

მონიტორის მუშაობა ხორციელდება შემდგომი თანმიმდევრობით: შესაბამისად დატრენინგებულ მონიტორი უყურებს შერჩეულ გადაცემას და შერჩევის ბარათში ათავსებს შესაბამის ინფორმაციას (კოდების მიხედვით) გადაცემის შესახებ. შერჩევის ბარათშივე იწერება გადაცემის მოკლე ანოტაცია, ნიშანდობლივი ციტატები (ე.წ. გენდერული თვალსაზრისით საინტერესო მესიჯები), თუკი ამის საჭიროება არის. მონიტორი აფასებს გადაცემის განწყობას/ნიშან-თვისებებს გენდერული თვალსაზრისით. მონიტორი ყოველი კვირის ბოლოს აჯამებს მოპოვებულ ინფორმაციას/მასალას. შესაძლებელია კონკრეტული გადაცემის განხილვა მონიტორებს შორის, თუკი ამისი აუცილებლობაა (ობიექტურობის მისაღწევად).

მონიტორინგის პერიოდის დასრულების შემდეგ ინფორმაცია თავს იყრის მონაცემთა ერთიან ბაზაში, ხდება მონაცემების დათვლა, კლასიფიკაცია, შეჯერება და საბოლოო ანგარიშისათვის მომზადება მონიტორებთან თანამშრომლობით.

შერჩევის ბარათი

შერჩევის ბარათი (იხ. დანართი N1) მოიცავს: ინფორმაციას მონიტორინგის შესახებ - ვინ ასრულებს მონიტორინგს, ასევე: თარიღს, არხს, ინფორმაციას გადაცემის შესახებ, გადაცემის ტიპსა და ქრონომეტრაჟს, ადგილს ბადეში, ინფორმაციას ავტორის, წამყვანის, თემის, გადაცემის (სიუჟეტის, ნიუსის, ტოქშოუს) პერსონაჟების შესახებ; ინფორმაციას ისეთი მახასიათებლების შესახებ, როგორებიცაა: გენდერული ბალანსი, ქალის/კაცისთვის დათმობილი დრო, შეფასება გენდერული თვალსაზრისით; მოკლე ანოტაციას სამონიტორინგო მასალის შესახებ და ნიშანდობლივ ციტატებს.

სათანადოდ მოწესრიგებული ინფორმაცია აკუმულირდება მონაცემთა ერთიან ბაზაში (პროგრამა იქსელი).



მონიტორინგის შედეგად მიღებული ერთიანი რაოდენობრივი მონაცემები

ქვეთავში წარმოდგენილია მონიტორინგის (შესაბამისი პროტოკოლის დაცვით შერჩეული 114 გადაცემა 2023 წლის თებერვალი-მარტი-აპრილის პერიოდში) შედეგად მიღებული რაოდენობრივი მონაცემები.

მონიტორინგისათვის შერჩეული 114 გადაცემიდან:



სამონიტორინგო მასალის გადაცემების (როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ისე - გასართობი) წამყვანების ერთიანი გენდერული შემადგენლობაა -



ცხრილი 1. **საზოგადოე ბრივ-პოლიტიკური და გასართობი გადაცემების წამყვანების ერთიანი გენდერული შემადგენლობა**

გადაცემების წამყვანები	ქალი	კაცი	სულ
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები	3	2	5
გასართობი გადაცემები	0	6	6
სულ	3	8	11

შერჩეულ სამონიტორინგო პერიოდში (როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ისე გასართობ გადაცემებში) რესპონდენტის/ სტუმრის ხარისხში მიწვეული ქალების რაოდენობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება კაცებისას. ქალები გადაცემების სტუმრების მხოლოდ მეოთხედს შეადგენენ. იგივე ტენდენცია იკვეთება ცალ-ცალკეც - საზოგადოებრივ-პოლიტიკურსა და გასართობ გადაცემებში.

ცხრილი 2. **საზოგადოებრივ-პოლიტიკური და გასართობი გადაცემების რესპონდენტების სტუმრების ერთიანი გენდერული შემადგენლობა**

გადაცემების სტუმრები/რესპონდენტები	ქალი	კაცი	სულ
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოქშოუები	63	194	257
გასართობი გადაცემები	30	92	122
სულ ჯამი	93	286	379

დიაგრამა N1. **რესპონდენტების/სტუმრების გენდერული შემადგენლობა**



მოცემული რაოდენობრივი მასალის შეჯერების საფუძველზე დგინდება, რომ საქართველოს სატელევიზიო სივრცეში ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი, როგორც გადაცემების სტუმრები, ანალიტიკოსები, ექსპერტები, ან უბრალოდ, საინტერესოდ მოსაუბრე რესპონდენტები.

სტერეოტიპები

სამონიტორინგო არეალის მედიანარატივში დაფიქსირდა 67 სტერეოტიპი. უფრო ხშირია ფემინური სტერეოტიპები, ვიდრე - მასკულინური: 46/21.

ცხრილი N3. **სტერეოტიპები ერთიან სამონიტორო მასალაში**

ფემინური სტერეოტიპები	46
მასკულინური სტერეოტიპები	21
სულ	67

დიაგრამა N2. **სტერეოტიპები ერთიან სამონიტორო მასალაში**



როგორც ვხედავთ, ფემინური სტერეოტიპები 3-ჯერ ნაკლებად ფიქსირდება სამონიტორო მასალაში.

ფემინური სტერეოტიპები

დიაგრამა N3. **ფემინური სტერეოტიპები**



ფემინური სტერეოტიპებიდან სამონიტორინგო მასალაში სჭარბობს ისეთი მახასიათებლებით აპელირება, როგორებიცაა: ქალის ემოციურობა და სისუსტე. ამ ტიპის სტერეოტიპების წილი 63%-ია.

მასკულინური სტერეოტიპები

მასკულინურ სტერეოტიპებში სჭარბობს მახასიათებლები: გადაწყვეტილების მიღება, პროფესიების დაყოფა ქალურ და კაცურ პროფესიებად, კაცის გონების უპირატესობით აპელირება. აღსანიშნავია, რომ საერთოდ არ ფიქსირდება ისეთი სტერეოტიპი, როგორიცაა კაცური საქმე ოჯახში.

დიაგრამა N4. **მასკულინური სტერეოტიპები**



დისკრიმინაციული გამონათქვამები

დისკრიმინაციული გამონათქვამების უმეტესი ნაწილი ქალებს მიემართება.

ცხრილი N4. **დისკრიმინაციული გამონათქვამები ერთიან სამონიტორო მასალაში**

ქალის მიმართ	14
კაცის მიმართ	7
სულ	21



დიაგრამა N5.

დისკრიმინაციული გამონათქვამები



სიძულვილის ენა

სოძულვილის შინაარსის შემცველი გამოთქმები უმეტესად კაც ოპონენტს მიემართება.

ცხრილი N5.

სიძულვილის ენა ერთიან სამონიტორო მასალაში

ქალის მიმართ	5
კაცის მიმართ	12
სულ	17

დიაგრამა N6.
სიძულვილის ენა სამონიტორო მასალაში



საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები

(რაოდენობრივი მონაცემები)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების წამყვანთა გენდერული შემადგენლობა:

1) "თავისუფალი ხედვა" (საზოგადოებრივი მაუწყებელი) - კაცი წამყვანი;
2) "აქტუალური შაბათი" (საზოგადოებრივი მაუწყებელი) - ქალი წამყვანი;
3) "რეაქცია" ("ტვ პირველ ლი") - ქალი წამყვანი;
4) "იმედი ლაივი" ("იმედი") - ქალი და კაცი წამყვანები.

3 ქალი
2 კაცი
} სულ - 3

მხოლოდ "იმედი ლაივია" ("იმედი") წარმოდგენილი ქალი/კაცი თანაწამყვანებით.

ცხრილი 6. **საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების წამყვანების გენდერული შემადგენლობა**

გადაცემა/გადაცემების წამყვანები	ქალი	კაცი	სულ
საზოგადოებრივი მაუწყებელი "თავისუფალი ხედვა",	0	1	
„აქტუალური შაბათი")	1	0	2
„იმედი" („იმედი LIVE")	1	1	2
„ტვ პირველი" ("რეაქცია")	1	0	1
სულ	3	2	5

მოცემული რაოდენობრივი მონაცემებიდან იკვეთება, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების წამყვანებად ქალები და კაცები თითქმის თანაბრად არიან წარმოდგენილნი (3/2/). სამონიტორინგო არეალში მხოლოდ ერთო გადაცემაა ("იმედი ლაივი") ისეთი, რომელშიც ქალი და კაცი თანაწამყვანები არიან.

გადაცემების სტუმრები უმეტესად კაცები არიან.
მთლიანობაში ქალები გადაცემების სტუმრების მხოლოდ მეოთხედს შეადგენენ.

ცხრილი 7. **საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების რესპონდენტების/სტუმრების გენდერული შემადგენლობა**

გადაცემების სტუმრები/რესპონდენტები	ქალი	კაცი	სულ
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები	63	194	257

დიაგრამა N7. **საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების რესპონდენტების/სტუმრების გენდერული შემადგენლობა**



გასართობი გადაცემები

(რაოდენობრივი მონაცემები)

გასართობი გადაცემების წამყვანებად/თანაწამყვანებად ქალები არ ფიქსირდებიან. გასართობ გადაცემებს მხოლოდ კაცები უძღვებიან: 3 გადაცემა, 6 წამყვანი.

1) „კაცები“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი) – 4 კაცი;

2) „ვანოს შოუ“ („ტვ პირველი“) - 1 კაცი;

3) „ჩვენი შოუ“ („იმედი“) - 1 კაცი,

} სულ - 6 კაცი

ცხრილი 8. **გასართობი გადაცემების წამყვანების გენდერული შემადგენლობა**

ტელემედია/წამყვანები	ქალი	კაცი	სულ
საზოგადოებრივი მაუწყებელი („კაცები“)	0	4	4
„იმედი“ („ჩვენი შოუ“)	0	1	1
„ტვ პირველი“ („ვანოს შუ“)	0	1	1
სულ	0	6	6

ცხრილი 9. **გასართობი გადაცემების რესპონდენტების/სტუმრების გენდერული შემადგენლობა**

გადაცემების სტუმრები/რესპონდენტები	ქალი	კაცი	სულ
გასართობი გადაცემები	**30**	**92**	**122**

დიაგრამა N8. **გასართობი გადაცემების რესპონდენტების/სტუმრების გენდერული შემადგენლობა**



რესპონდენტების/სტუმრების გენდერული შემადგენლობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ტოქ-შოუებში

ქალი

კაცი

გადაცემების სტუმრები უმეტესად კაცები არიან. მთლიანობაში ქალები გადაცემების სტუმრების მხოლოდ მეოთხედს შეადგენენ.

სამონიტორო მასალის განხილვა

მონიტორინგისათვის შერჩეული პერიოდი (2023 წლის თებერვალი, მარტი, აპრილი) დატვირთული და დინამიური იყო მიმდინარე მოვლენებით. აღნიშნულ პერიოდში ძალზე აქტიური და აქტუალურია უცხოური გავლენის აგენტების შესახებ კანონპროექტის საპარლამენტო განხილვა და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული მწვავე დისკუსია, რომელმაც პარლამენტს გარეთ გადაინაცვლა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების მძლავრი ტალღა გამოიწვია, მათ შორის - საპროტესტო აქციები. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ინტენსიურობა და მრავალფეროვნება შესაბამისად, მედიაშიც აისახა. სამონიტორო პერიოდში სწორედ ეს საკითხია მთავარი თემა, რომელმაც აქტუალობა არ დაკარგა დიდი ხნის - თვეების მანძილზე.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები

სამონიტორინგო პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში ძალზე ინტენსიურად განხილული თემაა სწორედ “უცხოური გავლენის აგენტების” შესახებ კანონპროექტი და მასთან დაკავშირებული საპროტესტო ტალღა: მარტის საპროტესტო აქციები და შემდგომი პერიოდი. იგივე პერიოდში აქტუალური იყო ასევე, თემები: საქართველოს ევროინტეგრაციის პერსპექტივა, მიხეილ სააკაშვილის პატიმრობა, ჯანმრთელობა და მასთან დაკავშირებული მოვლენების დინამიკა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ კვლევა კორუფციასთან დაკავშირებით, 9 აპრილის ტრაგედიის წლისთავი, აშშ-ს მიერ ქართველი მოსამართლეების სანქცირება, პრეზიდენტის ინსტიტუტისადმი კრიტიკული დამოკიდებულება, აგვისტოს ომი და მისი შედეგების განხილვა, საქართველო სტრასბურგისა და ჰააგის სარჩელებში, ლაზარე

გრიგორიადისის ქეისი, აქცენტირებული იყო ძალადობის თემა, და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ იგივე პერიოდში ჩატარდა საკმაოდ მასშტაბური აქცია „ქალების მარში“, რომელიც ქალების მტკიცე პოზიციების გამოხატულება იყო და სწორედ უცხოური გავლენის აგენტების შესახებ კანონპროექტის წინააღმდეგ იყო მიმართული, ამ საკითხს არ დაეთმო ჯეროვანი ყურადღება სამონიტორინგოდ შერჩეულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში გენდერული თემატიკა აქტუალური არ არის, გადაცემების თემები მიმდინარე მოვლენების ასახვაა. მიუხედავად აქტუალობისა, არ განიხილება გენდერული თვალსაზრისით საინტერესო დატვირთვის მქონე ფაქტები და მნიშვნელოვანი საკითხები **მაშინ, როცა ამ თვალსაზრისით ქვეყანაში ბევრი გამოწვევაა.** ტელემედია ნაკლებ ყურადღებას იჩენს ე.წ. გახანგრძლივებული პრობლემისადმი, მაგალითად, იგივე ფემიციდისადმი, რომელიც ძალზე აქტუალურია ბოლო ათწლეულში და სულ უფრო ხელშესახები ხდება.

ქალთა საკითხების გაშუქებას ტელემედიებში უფრო კამპანიური ხასიათი აქვს და ყოველი კონკრეტული კაზუსიდან გამომდინარეობს, არ იგრძნობა სისტემური მოდგომა. თემატური სპექტრიდან ჩანს, რომ ქალთა თემების გაშუქება სარედაქციო პრიორიტეტებში არ შედის.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემების მიმართ გენდერული, პროფესიული ეთიკის დაცვის უფრო მაღალი მოლოდინია და შესაბამისად, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში გენდერული სტერეოტიპები ნაკლებად თვალშისაცემია, ვიდრე გასართობ გადაცემებში.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში გენდერული სტერეოტი**პების შედარებითი სიმცირე** წამყვანთა და რესპონდენტთა, ასევე სარედაქციო ხელმძღვანელობის შესაბამის გენდერულ წიგნიერებაზე მიუთითებს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ზოგიერთ გადაცემაში, რომლებშიც მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემები და გამოწვევები განიხილება, არ კეთდება ჯეროვანი აქცენტები დიალოგებისა და დისკუსიების იმ მომენტებში, როდესაც ქალების უფლებების გაძლიერების საკითხი წამოიჭრება ხოლმე. აღნიშნული საკითხი გადაცემის წამყვანის/მასპინძლის პასუხისმგებლობაა.

ხშირია გენდერულად არამგრძნობიარე გადაცემები და მიდგომები საკუთრივ გადაცემებში. გენდერული თვალსაზრისით საინტერესო დატვირთვის მქონე ფაქტები ხშირად შუქდება არასწორი აქცენტებით, ან იკვეთება დისკრიმინციული მიდგომები.

უნდა აღინიშნოს, რომ წამყვანების მხრიდან არ ფიქსირდება ასეთი აქტის აღკვეთის მცდელობა - უმეტეს შემთხვევაში, როდესაც გადაცემების რესპონდენტები/სტუმრები გენდერულად არამგრძნობიარე განწყობებს, სტერეოტიპული შინაარსის ფრაზებს, დისკრიმინაციულ გამონათქვამებსა და სხვ. აფიქსირებენ, წამყვანები პროფესიული ვალდებულების კვალად არ მიუთითებენ მათ კორექტულობისკენ, არ ემიჯნება რესპონდენტის პოზიციას.

ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის თემატიკის დისკრედიტაციის გამოვლინებაა, მაგალითად **საზოგადოებრივი მაუწყებლის** გადაცემაში დაფიქსირებული ფაქტი, როდესაც არასწორი აქცენტირება მოხდა - დეპუტატმა ვახტანგ მეგრელიშვილმა („გირჩი“) გადაცემაში საუბრისას ზედმეტად და არასწორად მიიჩნია ქალთა უფლებების თემის განხილვა ტელეეთერებით: „...მთელი მასმედია დაკავებულია სექს-სკანდალით, რომელიც ერთ-ერთ ჟურნალისტს - შალვა რამიშვილს აუგორდა და რამაც გადაფარა სერიოზული პრობლემა... ნაცვლად იმისა, რომ ჩვენ პოლიტიკურ საკითხებზე ვსაუბრობდეთ, მთელი მედია გადასულია <u>რაღაცა ქალების უფლებებზე,</u> თუ რომელიღაც ერთი ადამიანის ისტორიაზე, რაც ჩემი წარმოდგენით

არის სრული კატასტროფა, რომ რამდენად არ შეგვიძლია ჩვენ პრიორიტეტები დავალაგოთ'' („თავისუფალი ხედვა,“ 28.03.2023).

ამ კონკრეტულ სიტუაციაში წამყვანმა გიორგი გვიმრაძემ სათანადო რეაგირება არ მოახდინა, არ შეეკამათა რესპონდენტს და არც კონტრარგუმენტი მოიხმო რესპონდენტის სექსისტური მიდგომის პასუხად, რომელმაც ქალთა უფლებები არაპრიორიტეტულად შერაცხა. ფრაზა „რაღაცა ქალების უფლებები“, რაც დისკრიმინაციის კონკრეტული გამოვლენაა, აღქმული იქნა ნარატივის ჩვეულ ნაწილად და წამყვანმაც რაგირების მიღმა დატოვა, როგორც მეორეხარისხოვანი მნიშვნელობის/შინაარსის მქონე რემარკა.

საზოგადოებრივ მაუწყებელს, როგორც არსით აპრიორი დაბალანსებულსა და მეტი პასუხისმგებლობის მქონე მედიას, აქვს მეტი ვალდებულება და პასუხისმგებლობა გენდერული თემატიკა შესატყვისი რაკურსით წარმოაჩინოს და გააშუქოს. საზოგადოებრივი მაუწყებელი თავის საპროგრამო “ხედვაში” აღნიშნავს, რომ “გენდერული თანასწორობა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია” მისთვის. მიუხედავად ამისა გენდერული საკითხების ან ქალთა უფლებების კუთხით ცალკე მომზადებული რუბრიკა, სიუჟეტი/რეპორტაჟი საერთოდ არ დაფიქსირებულა საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემებში - „თავისუფალ ხედვასა“ და „აქტუალურ შაბათში.“

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამონიტორინგო არეალის მედიანარატივში უფრო ხშირია ფემინური სტერეოტიპები, ვიდრე - მასკულინური: 46/21.

ასეთი თანაფარდობა მიუთითებს, რომ საზოგადოებაში ფემინური სტერეოტიპები ჩვეული და გამჯდარია, მათი გამოყენება საჯაროდ არ ქმნის უხერხულობას რესპონდენტებისა და წამყვანებისთვის.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებშივე ნაკლებია დისკრიმინაციული გამონათქვამები ქალთა მიმართ, ვიდრე გასართობ გადაცემებში.

სექსუალური შევიწროვების თემა

სექსუალური შევიწროვების თემა გააქტიურებული იყო „პოსტ ტვ-ის“ დირექტორის მიერ ქალების შესაძლო შევიწროვების ფაქტის გამო (2023, მარტი). საკითხი აქტიურად შუქდებოდა საინფორმაციო გამოშვებებში, მათ შორის - დღის მთავარ საინფორმაციო გადაცემებში. თუმცა აღნიშნული თემა ცალკე რომელიმე ტოქშოუს განსაკუთრებული ინტერესის საგანი არ ყოფილა. პოსტივის ხელმძღვანელთან დაკავშირებული სექსუალურ სკანდალს მნიშვნელოვანი ყურადღება მხოლოდ გადაცემა „რეაქციაში“ დაეთმო („ტვ პირველი“, „რეაქცია“, 28.03.2023; 30.03.2023).

საავტორო გადაცემა „რეაქცია“ გამორჩეულად უპირატესია ქალთა და კაცთა წარმომადგენლობითი ბალანსის დაცვის მცდელობითა და გენდერულად მგრძნობიარე მიდგომებით. გადაცემაში ხელს უწყობენ ქალი პოლიტიკოსების პოზიტიურ კონტექსტში წარმოჩენას. გადაცემის წამყვანი ქალი მიმდინარე მოვლენების შესაბამისად სწორი გენდერული აქცენტებით აშუქებდა ფაქტებს და ესაუბრებოდა რესპოდენტებს, მათ შორის, უფლებადამცველებს. რესპონდენტებს აიძულებდა თემაზე ჩაკითხვით, კონტრარგუმენტებითა და ღრმად განხილვით წვრილმანებამდე გარკვეული პასუხები გაეცათ.

ქალზე შესაძლო ძალადობის გახმაურებული ქეისს (პოსტივის დირექტორის, შალვა რამიშვილის შესაძლო ბრალეულობა) “რეაქციაში” საკმაო ყურადღება დაეთ**მო.**

„შალვა რამიშვილი, რომელიც არის დადანაშაულებული კონკრეტული ქალების მიმართ ძალადობაში, ხელისუფლება ამაშიც აპრავებს საკუთარ პროპაგანდისტს („რეაქცია“, 28.03.23)", - აცხადებს გადაცემის წამყვანი ინგა გრიგოლია საჯარო პირების პასუხად, რომლებიც შალვა რამიშვილის დაცვასა და გამართლებას ცდილობდნენ და ამას კამპანიური ხასიათი მიეცა.

"რეაქციაში" იგრძნობა სოლიდარული დამოკიდებულება ქალების მიმართ და დაბალანსების მცდელობა ყოველი კონკრეტული რესპონდენტის კონკრეტული აცდენილი პასუხისათვის. მსგავსი გადაცემა გამონაკლისია და შესაძლოა, სწორი მიდგომების გამოვლინება სწორედ იმით იყოს განპირობებლული, რომ გადაცემის წამყვანი ქალის გენდერული წიგნიერება შესატყვისია.

სიძულვილის ენა

სიძულვილის ენა ფიქსირდება უმეტესად პოლიტიკური და არა იმდენად გენდერული ნიშნით, რაც პოლარიზაციის, რადიკალიზაციის მანიშნებელია. სიძულვილის ენის დაფიქსირება ოპონენტის მიმართ იშვიათობას არ წარმოადგენს და პოლიტიკური ცხოვრების ნაწილადაც კი იქცა, ეს მედიაკონტენტშიც აისახება. ოპონენტების მიმართ ხშირად ისმის დაუსაბუთებელი კრიტიკა, შეგრძნებებსა და განწყობებზე დაფუძნებული განცხადებები.

როგორც აღვნიშნეთ, სამონიტორინგო პერიოდი ემთხვევა **"უცხოური გავლენების აგენტების შესახებ"** კანონპროექტის განხილვასა და მის თანმდევ საპროტესტო აქციებს პარლამენტის წინ (თებერვალი, მარტი). კანონპროექტის განხილვას მოჰყვა ნეგატიური ტალღა, რამაც მედიასა და რესპონდენტთა ნარატივშიც ჰპოვა სათანადო ასახვა. კანონპროექტის, საპროტესტო აქციების, ევროინტეგრაციის პროცესისა და სხვა პოლიტიკური საკითხების განხილვისას ხშირად ხდებოდა პოლიტიკური ოპონენტის შემკობა არასათანადო ეპითეტებით. ამ პერიოდში ხშირია, როდესაც მთლიანი გადაცემები ეთმობა კანონპროექტის შესახებ დისკუსიას - მისი კანონად ქცევის მიზანშეწონილობას. პოლიტიკოსები კანონპროექტის იდეას ოპონენტების წინააღმდეგ იარაღად იყენებენ.

ფიქსირდება - სიძულვილის ენა, როგორც კანონპროექტის იდეასთან დაკავშირებით, ისე - მის მიღმაც, მათ შორის ქალების მიმართაც. მოხმობილი ციტატები სამონიტორინგო მასალიდან ზემოთქმულის ილუსტრაციაა: გოგა ხაინდრავა (რეჟისორი): «ევროპარლამენტს მე «ევროს პარლამენტი» ვუწოდე» ... გოგა ხაინდრავა: ფოტიგა და კუბილიუსი რომ პოლიტიკოსები იქნებიან, ხაბეიშვილზე საუბარი შეიძლება?!" („იმედი ლაივი", 05.02.2023); გოგა ხაინდრავა (რეჟისორი): ვფიქრობ, რომ ამ ქალბატონმა [კელი დეგნანმა] იმდენი დააშავა ქართულ -ამერიკულ ურთიერთობებში, რომ ამის გამოსწორებას წლები დასჭირდება. ერთ-ერთი კრახი ამერიკის პოლიტიკის არის საქართველოში შეერთებული შტატების საელჩოს მუშაობა... 30 წლის თავზე ვხედავთ წმინდა ბოლშევიკურ მოქმედებას, როდესაც სიმართლე სიმართლე არ არის, ცილისწამება ცილისწამებაზე მოდის" („იმედი ლაივი", 26.03.2023); გიორგი სავანელი (რეჟისორი): «არ ვიცი საკონტროლო გასროლაა, რომ ევროპამ ან ხელი აიღოს, ან თუ ვინმეს მომავლის იმედი შერჩენია გაიქცეს, რომ დარჩეს ბრბო, მართლა ალტინფოსა და ამ ამორალური რამიშვილის მაყურებელი და მაპატიეთ, რომ ქალზე ვამბობ, მაგრამ, რასაც ლალი მოროშკინა ბოლო პერიოდში... ქალი ჭკუაზე არ არი, გამწარებული ხავის მართლა ამაზრზენ, დემაგოგიურ რაღაც სენტენციებს. ამათი მრევლი დარჩეს და მართლა გუბერნიად იქცეს, ალბათ ეს გამოსავალია» ("რეაქცია", 03.02.2023). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კინორეჟისორ გოგა ხაინდრავას

დისკურსი/ნარატივი გამოირჩევა ხოლმე რადიკალიზმებით - სექსისტური და დისკრიმინაცული გამონათქვამებით.

„იმედი ლაივის" საავტორო მონოლოგში გადაცემის წამყვანები დღის/კვირის მნიშვნელოვანი ამბების მიმოხილვა-შეჯერებისას ტრადიციულად მიმართავენ სარკაზმსა და ირონიას. ეს გადაცემის ერთგვარი საავტორო ორიგინალობაა. **წამყვანების მონოლოგებში მრავლადაა ისეთი მიდგომა, როდესაც განსხვავებული აზრის მქონეთა არამოტივირებული, ალოგიკური, არასერიოზული ქმედებებით აპელირებენ. მაგალითად:** მაგდა ანიკაშვილი (წამყვანი)**:** „თავი ელენე ხოშტარიამ გამოიჩინა რკინის ლოგიკით» („იმედი ლაივი", 08.02.2023); მაგდა ანიკაშვილი (წამყვანი)**: „კიდევ ერთი ისტერიული გამოსვლის ავტორი მურმან დუმბაძეა, თუმცა აქ ფსიქოპორტრეტი იმდენად დამძიმებულია, სჯობს, თავად გააკეთოთ დასკვნები... პოლიტიკური ფანტაზიები აეშალათ რესპუბლიკელებს თემაზე „რუსული ოცნება", თუმცა შემთხვევა არატრადიციულია, რადგან ამჯერად საქმე არ გვაქვს კოლექტიურ ჰალუცინაციასთან.** ხათუნა სამნიძის **ვერსიას ბიძინა ივანიშვილის მიერ პუტინისათვის შეთვლილი ბოდიშის შესახებ, არ ადასტურებენ ძირძველი რესპუბლიკელები („იმედი ლაივი", 01.02, 2023);** მაგდა ანიკაშვილი (წამყვანი): «საყოველთაო ჩამნაცვლებელს გიგი უგულავას მოულოდნელი კონკურენტი გამოუჩნდა ანა წითლიძის სახით, წითლიძე ნატრობს სააკაშვილის ნაცვლად სასჯელი მოიხადოს. გისოსები, სანთელი, გული - მიშას ერთგულების კონკურსი დასკვნით ეტაპზეა და მას ჰყავს გამოკვეთილი ლიდერიც» („იმედი ლაივი", 19.04. 2023).

მესამე სექტორის დისკრედიტაცია

არასამთავრობო ორგანიზაციებისადმი დისკრედიტაციული მიდგომა ხშირია უცხოური გავლენის აგენტების შესახებ კანონპროექტის განხილვისას, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ხშირად მოიხსენიებენ ნეგატიურ კონტექსტში. ამასთან, კანონპროექტი არსობრივად არ განიხილება, აქცენტი კეთდება გამჭვირვალობის აუცილებლობაზე არასამთავრობო ორგანიზაციების გავლენებიდან გამომდინარე, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსა და ანგარიშვალდებულების საჭიროებაზე. ეჭვქვეშ არის დაყენებული არასამთავრობო სექტორის რეპუტაცია და მის მიმართ საზოგადოების ნდობა: გიორგი გვიმრაძე (წამყვანი): „აქტორი, რომელსაც გარკვეული ძალაუფლება აქვს, არასამთავრობოს აქვს ძალაუფლება, მათ შეუძლიათ ამ ანგარიშგებით, რომელსაც ისინი წარადგენენ (საერთაშორისო ორგანიზაციებთან, იმოქმედონ გარკვეულწილად ქვეყნის პოლიტიკაზე, ქვეყნის შიგნით. შეუძლებელია ამის არაღნიშვნა, რადგან ეს მათი ძალაუფლებაა, თუმცა არ არის მათი ძალაუფლება ლეგიტიმური ქვეყნის შიგნით, კონტროლირებადი. მეტიც. თუ კვლევებს ვნახავთ, არსებობს საკმაოდ დაბალი ნდობა არასამთავრობო სექტორის მიმართ, მათივე კვლევებში, NDI... ბოლო პერიოდში აღარ კითხულობენ ამ ნაწილს იმდენად არასახარბიელოა ეს ნაწილი" („თავისუფალი ხედვა", 21.03. 2023); ირაკლი კობახიძე ("ქართული ოცნება"): „გამოვიდა მოქმედი სახალხო დამცველი ლევან იოსელიანი და პირდაპირ ისაუბრა იმ ფაშისტურ ბულინგზე, რომელიც წარმოებდა სამ ქალ დეპუტატზე იმისთვის, რომ მათ მხარი არ დაეჭირათ ლევან იოსელიანის კანდიდატურისთვის. **ამ ბულინგის ავტორები იყვნენ უცხოური გავლენის აგენტები -** ის ცნობილი მდიდარი „ენჯეოები", რომლებზეც ასე ხშირად ვსაუბრობთ ხოლმე. **ლიბერალური ფაშიზმის ყველაზე აქტიური ავტორები საქართველოში არიან სწორედ ეს მდიდარი „ენჯეოები"** („იმედი ლაივი", 15.03.23);

ირაკლი კობახიძე (“ქართული ოცნება”): «ყველა ნაწილში გვაქვს სტანდარტებთან შესაბამისი კანონმდებლობა და სასამართლო სისტემის ყველაზე დიდმა კრიტიკოსებმაც აღიარეს ეს, NGO-ების კლანის წარმომადგენლებმა აღიარეს და მათ თქვეს, რომ კანონმდებლობის დონეზე ყველაფერი კარგია, უბრალოდ, არ მოსწონთ კონკრეტული პერსონალი» („იმედი ლაივი“, 19.04. 2023); მაკა ცინცაძე (წამყვანი)**:** „კატეგორიული წინააღმდეგები არიან, შვიდი წლის წინ, მათი თანაავტორობით მომზადებული ანგარიშიც შეახსენეს. იგულისხმება 2016 წელს ევროკავშირის დაფინანსებით მომზადებული კვლევა, რომელიც უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობასა და მონიტორინგს ეხება. ანგარიშის მონაცემები ითვალისწინებს სპეციალური რეესტრის შექმნას და არასამთავრობოების მიერ მიღებულ გრანტებზე ანგარიშვალდებულებას, ამ ანგარიშის ავტორებს შორისაა ლაშა ტუღუში, რომელიც კომიტეტის სხდომას ესწრებოდა.... რაც შეეხება ხმაურიანი განხილვის თანამონაწილეებს არასამთავრობო სექტორიდან, ამავე კვლევის თანაავტორმა, ალეკო ცქიტიშვილმა გვითხრა, რომ არასამთავრობოები შეთანხმდნენ, შინაარსობრივ განხილვაში მონაწილეობა არ მიიღონ“ („აქტუალური შაბათი“, 19.04, 2023); ვასილ მაღლაფერიძე (ფილოლოგი): „რა უნდა ახლა ამ ენჯეოებს, 30 ლარი უნდა და შექმნი ადამიანებს... [არასამთავრობო ორგანიზაციები] დაიწყებენ ბულინგს ჟურნალისტებზე და კითხვებს - ეს კითხვა რატო დასვი, ის რატო დასვი? ...“ „აი, ცნობილი გამოთქმა რომ არის: ბოროტება რა არიო? - ცოლს რომ წამართმევენო! სიკეთე რა არიო? - მე რომ წავართმევ ცოლსო!“ („თავისუფალი ხედვა“, 11.04.2023). ამ ბოლო მაგალითში ფიქსირდება არა მხოლოდ მესამე სექტორის დისკრედიტაციის მცდელობა, არამედ სექსისტური მიდგომაც, რასაც, ასევე არ მოჰყვა წამყვანის რეაგრება.

გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი ინსტიტუციების წარმოჩენა მედიასივრცეში

გენდერული თანასწორობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ინსტიტუციები და მათი საქმიანობა მონიტორინგის პერიოდში არ გაშუქებულა. ტელემედიაში არავინ ახსენებს: გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსა და ომბუდსმენის ოფისის გენდერულ დეპარტამენტს, შესაბამის სამთავრობო კომისიასა და ადგილობრივ გენდერულ საბჭოებს, როგორც აქტორებს. ფიქსირდება მხოლოდ ინფორმაცია ომბუდსმენსა და პრეზიდენტზე - ამ შემთხვევაში წამყვანია გენდერული ნიშანი - უმეტესად, პრეზიდენტი, როგორც ქალი.

ომბუდსმენის არჩევა მონიტორინგის პერიოდს დაემთხვა. დეპუტატი ლევან იოსელიანის („მოქალაქეები“) სახალხო დამცველად 2023 წლის 7 მარტს აირჩიეს. ომბუდსმენის რანგში ის პირველად, „რეაქციის“ სტუდიაში (30.03. 2023) გამოჩნდა. ინტერვიუში იოსელიანმა საკუთარ ხედვა და გეგმებს წარადგინა: „მე რომ ზოგადად, ქალების მიმართ განსაკუთრებული სოლიდარობა გამაჩნია, ეს პარლამენტში ჩემი საქმიანობითაც დავამტკიცე. ჩემი საქმიანობის დიდი ნაწილი დავუთმე ქალთა გაძლიერებას, გენდერული საკითხების წინ წამოწევას, დავაინიცირე მთელი რიგი საკანონმდებლო ინიციატივები, მე არანაირი პრობლემა არ მაქვს ქალთა მიმართ გამოვხატო სოლიდარობა», - აცხადებს ლევან იოსელიანი, რომლის აღნიშნულია ფრაზა საპროგრამო დოკუმენტად აღიქმება და ძალზე პოზიტიური მესიჯია მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების ფონზე. ინტერვიუ კარგადაა გამართული გენდერული მგრძნობელობის თვალსაზრისით და შეიძლება ითქვას, რომ მთლიანი სამონიტორინგო მასალის მნიშვნელოვანი ერთეულია.

ინტერვიუში ლევან იოსელიანმა ყველა მნიშვნელოვანი თემა მოიცვა: „არ შეიძლება წინასწარ ეჭქვეშ დააყენო სავარაუდო მსხვერპლის განცხადები, ამან შეიძლება წაახალისოს სექსუალური შევიწროვება. კიდევ ერთხელ მოვუწოდებ მათ, რომ დაუშვებელია, რომელიმე განცხადების ავტორის, ქალის განცხადების ეჭქვეშ დაყენება. ეს დაუშვებელია და ეს იწვევს მძიმე შედეგს და უფრო მეტ ადამიანს უჭრის გზას თავის შევიწროვების შემთხვევებზე ისაუბროს” („რეაქცია“, 30.03. 2023).

გადაცემის წამყვანმა (ინგა გრიგოლიამ) სწორი აქცენტებით წარმართა საუბარი, სახალხო დამცველს დაუსვა ბევრი კონკრეტული და პრინციპული კითხვა, მათ შორის, ქალთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასა და შალვა რამიშვილს ქეისთან დაკავშირებით, რითაც გენდერული წიგნიერებისა და სოლიდარობის დემონსტრირება მოახდინა.

ინგა გრიგოლია ომბუდსმენს: ,,თქვენ ვერ გაბედეთ დაგესახელებინათ სექსუალურ შევიწროებაში მხილებული ადამიანის სახელი და გვარი, მაშინ, როდესაც ხელისუფლება აქეთ აბრალებს ამ ქალებს, რომ თურმე, ცრუ დასმენებს და პოლიტიკურ შეტევას აქვს ადგილი შალვა რამიშვილზე, შვიდი წლის მერე რატომ დაიწყეს საუბარიო და ირაკლი კობახიძის გამაოგნებელი განცხადება - როცა ბევრი ფული გაქვს, მაშინ შეგიძლია ბევრი ქალი მართოო... მოვისმენდი მკაცრად ნათქვამს ხელისუფლების მიმართ. ფიქრობთ, თუ არა. რომ სახელმწიფო გადაეფარა პროპაგანდისტს... მსხვერპლი ქალი, რომელსაც მოგებული აქვს რამიშვილისთვის პროცესი, ისეთ დღეში ჩააგდო სახელმწიომ, რომ იძულებული გახდა მამასთან ერთად ჩაეწერა ვიდეო და ეჩვენებინა, რომ არანაირი დალურჯებები არ ჰქონდა” (“რეაქცია”, 30.03. 2023).

ლევან იოსელიანი საპროგრამო საკითხებსა და ომბუდსმენის პოზიციას ხაზს უსვამს ასევე, „თავისუფალ ხედვაში“ სტუმრობისას (საზოგადოებრივი მაუწყებელი, 04.04. 2023). აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტის მხრიდან არცერთი კითხვა არ მიმართულა გენდერულ საკითხზე, ან ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობაზე. მას შემდეგაც, როცა, გადაცემის ბოლოს, ომბუდსმენმა ახსენა ფემიციდი, როგორც გამოწვევა, ჟურნალისტის მხრიდან თემის გაგრძელების მზაობა არ ყოფილა, მეტიც, მან ფემიციდის თემა არ განავრცო და სხვა თემაზე გადავიდა, რაც არასწორ პროფესიულ მიდგომად შეიძლება ჩაითვალოს საკითხის უდიდესი აქტუალობის გამო.

ლევან იოსელიანი: „ორი -სამი დღის წინ იყო ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ აქცია და მე ამ აქციას შევუერთდი. ასევე, ბოლო პერიოდში, კიდევ ერთ ფემიციდი მოხდა, ქალი გარდაიცვალა და 35 ქალი არის გარდაცვლილი ფემიციდით 2022 წელს. ეს არის კიდევ ერთი დიდი გამოწვევა ჩვენს ქვეყანაში, რომ ქალების მიმართ ასეთი დანაშაული იყოს ადეკვატურად დასჯილი და მეორეს მხრივ, სტატისტიკა ჩამოვიდეს დაბლა, იმიტომ, რომ, როგორც სახალხო დამცველი არ ვსაუბრობ მხოლოდ ამ საკითხებზე, რაღაც რაც ძალიან ჩქარა არის შესაცვლელი ამ ქვეყანაში. არის ფემიციდის ფაქტების სიმრავლე და აქ სახალხო დამცველი მარტო ვერაფერს ვერ გახდება» (იქვე).

გასართობი გადაცემები

მონიტორინგის შედეგების გაანალიზებით გამოიკვეთა, რომ გენდერული სტერეოტიპები უმეტესად, სწორედ გასართობ გადაცემებში ფიქსირდება, რაც გადაცემის ხასიათით შეიძლება აიხსნას, თუმცა მიუთითებს, ასევე, საზოგადოებაში არსებულ გენდერული უთანასწორობის ისტორიულად ჩამოყალიბებულ მიდგომებსა და სტერეოტიპებზე.

გენდერული სტერეოტიპებს გასართობ გადაცემაში თავს არ არიდებენ, პირიქით, მათი პედალირება, წახალისება ხდება. გენდერული სტერეოტიპების კვლაწარმოების ერთ-ერთ წყაროდ გასართობი გადაცემები შეიძლება ჩაითვალოს, სადაც სტერეოტიპების წახალისება ხდება ანეკდოტების, სკაბრეზებისა თუ სხვა ტიპის შინაარსის/ლექსიკის წახალისებით. **გადაცემის წამყვანები თითქოს ეჯიბრებიან კიდეც ერთმანეთს სექსისტურ და სტერეოტიპულ გამონათქვამებში. ასეთ შემთხვევაში აქცენტის გასწორება ან არაეთიკურ გამონათქვამზე მითითება გამორიცხულია.**

გასართობ გადაცემებში უმეტესად კაც სტუმრებს/რესპონდენტებს ანიჭებენ უპირტესობას და წამყვანებიც კაცები არიან. თუკი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში ქალი და კაცი თანაწამყვანები დაახლოებით თანაბარი რაოდენობით ფიქსირდებიან, გასართობ გადაცემებში ქალი წამყვანი საერთოდ არ არის წარმოდგენილი.

გასართობ გადაცემებში (**„კაცები“** (საზოგადოებრივი მაუწყებელი), **„ვანოს შოუ“** (ტვ პირველი), „ჩვენი შოუ“ („იმედი“)) გენდერული სტერეოტიპების შემცველ ფრაზებში იმიჯნება როგორც ქალისა და კაცის როლები ერთსა და იმავე გარემოში, ასევე განსხვავებულია მოლოდინები კაცისა და ქალის ქცევის მიმართ.

გასართობი გადაცემების წამყვანთა ნარატივში ვხვდებით გენდერული თვალსაზრისით ისეთ სტერეოტიპულ ფრაზებს, როგორებიცაა: “მამალი ქალი”, “ქერა ქალის თვალით დანახული პოლიტიკა”, “ძვირფასი მანდილოსანი”, “ბიჭური გოგო”...

„კაცები“



გასართობი გადაცემა **„კაცები“** (საზოგადოებრივი მაუწყებელი), რომელსაც 4 კაცი წამყვანი ჰყავს, წმინდად მასკულინური შოუა - არანაირი მინიშნება, რომ კაცობრიობის ნაწილს ქალები შეადგენენ. გადაცემა გენდერული ასიმეტრიის ნიმუშია, ჩაკეტილი მასკულინური სივრცეა ყველანაირი გაგებით, მათ შორის, სანახაობრივად და თემატურად, გენდერული მგრძნობელობის თვალსაზრისით, რითაც ის წამგებიანად გამოიყურება აუდიტორიისთვის. გადაცემის შინაარსი უმეტესად, ინტელექტუალური საუბრების მდარე პაროდიაა, თუმცა კონკრეტულ შეთხვევაში ამაზე ფოკუსირება ჩვენი მიზანი არ არის.

გადაცემის პირველ ნაწილში ოთხი მამაკაცი (თანაწყვანები) მიმოიხილავს იუმორისტული პოტენციალის შემცველ ახალი ამბებს/ნიუსებს. შემდეგ ცდილობენ ინტერპრეტაციას, ასევე იუმორისტული მიდგომით. გადაცემის სტუმრები კი ყვებიან იუმორისტულ ამბებს წამყვანების

იუმორისტული კომენტარების თანხლებით. გადაცემის სტუმრებად უმეტესად, მამაკაცებს იწვევენ. დაახლოებით იგივე თარგს მიყვება სხვა ტელეკომპანიების გასართობი გადაცემებიც.

სტერეოტიპული მიდგომის ნიმუშია ქალური და მამაკაცური პროფესიების ხაზგასმა: დავით ლაბაძე **(გადაცემის** თანაწამყვანი): „გოგოებზე რო ვკონცენტრირდეთ არ შეიძლება [იგულისხმება ჭადრაკის სწავლება?] რაღაცა რო გამოგდის, ასწავლე გოგოებს! ... ნუ ასწავლი ამ ბიჭებს! ბიჭებს - რაგბი, ჰოკეი“ („კაცები“, 28.04.2023).

გადაცემის წამყვანსა და სტუმარს შორის საუბარში იკვეთება **შვილების დაოჯახებაში დედის როლის მნიშვნელოვნება, ქალის, როგორც პოტენიური დედამთილის აზრისა და როლის გავლენა ვაჟების არჩევანზე**, ასევე ტრადიციულ, რძალ-დედამთილობის ინსტიტუტზე აპელირება: **წამყვანი გადაცემის სტუმარს:** „ - როგორი დედამთილი იქნები?“ თიკა ფაცაცია: „ - ტრადიციული დედამთილი ვიქნები... ერთხელ მითხრეს, კარგი რძალი შემოგსვლოდესო“ („კაცები“, 22.04. 2023).

„ჩვენი შოუ“



„ჩვენი შოუს“ (ტელეკომპანია „იმედის“) წამყვანიც კაცია - გია ბაღაშვილი. ისიც უმეტესად, კაცებს მასპინძლობს. „ჩვენი შოუც“ გამოირჩევა გენდერული დისბალანსით, კაცი რესპონდენტების სიჭარბით. შესაძლოა, ეს განპირობებულია მაღალი მოლოდინით კაცთა იუმორის გრძნობისა და დეკლამაციური ნიჭისადმი და სწორედ დამკვიდრებული სტერეოტიპული დამოკიდებულების გამოხატულებას წარმოადგენს. „ჩვენი შოუს“ წამყვანი გია ბაღაშვილი ქალებს ხშირად მოიხსენიებს, მყარად ფესვგადგმული ტრადიციულ შეხედულებებზე დაფუძნებული ეპითეტებითა და კონოტაციებით, როგორებიცაა: „მანდილოსნები“, „მოსაფრთხილებელი“, „სუსტი“, „ემოციური ადამიანები“, „გასაღმერთებლები“ და სხვ.

ხაზგასმული პატივისცემის ნიშნად წამყვანის მიერ წარმოთქმული ეპითეტები ქალი რესპონდენტების მიმართ, ხშირად უადგილოა. გადაცემის დისკურსი გენდერული სტერეოტიპებითა და პატრიარქალური ეპოქებისათვის დამახასიათებელი მიდგომებითაა დატვირთული. წამყვანის კითხვებიც ქალი რესპონდენტებისადმი სტერეოტიპული და გენდერულად არამგრძნობიარეა, ან ხელს უწყობს სტერეოტიპების გაღვივებას. მაგალითად, თუ როგორი დედები და ცოლები არიან ქალები, უყვართ თუ არა შოპინგი და ა.შ. მაგალითებად მოვიხმობთ შემდეგ ციტატებს: წამყვანი რესპონდენტს: „ასეთი ემოციური, გულიანი ქალბატონები ბრძანდებით და დედა-შვილობის ურთიერთობებში თუ აისახება ეს მუხტი?... ეგრეთ წოდებულ შოპინგთან როგორ ხართ“?“ (“ჩვენი შოუ”, 04.03.2023); გია ბაღაშვილი (წამყვანი): «ახლა კი ნება მიბოძეთ, განსაკუთრებული სიყვარულით და პატივისცემით მივულოცო აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული ჩვენს მანდილოსნებს, ძვირფას ქალბატონებს... ჩვენს ქალბატონებს გაუმარჯოს» („ჩვენი შოუ“, 15.04.2023).

სტერეოტიპი ფიქსრიდება, ასევე გადაცემის სტუმრების ლექსიკაშიც. ასეთი შემთხვევები, როგორც აღვნიშნეთ, **სტერეოტიპების კვლავწარმოებას უწყობს ხელს, მაგალითად,** რუსკა მაყაშვილი: „ცოტა ბიჭური გოგოა ნინუცა მაყაშვილი“ („ჩვენი შოუ“, 02.04.2023).

„ვანოს შოუ“

„ვანო ჯავახიშვილის შოუშიც“ („ტვ პირველი“) ფიქსირდება სტერეოტიპული განწყობები, **გადაცემის წამყვანის ნარატივი ხშირად მიემართება პოლიტიკოსებს, ხელისუფლების წარმომადგენლებს:** კაცებსაც და ქალებსაც, თუმცა, უმეტესად, ქალებს. „ვანოს შოუში“ ქალი პოლიტიკოსები ზედმეტად გაშარჟებულები არიან, იგივე განწყობას აძლიერებს ქალი პოლიტიკოსების სტერეოტიპული სკეტჩებით წარმოჩენა. **გადაცემა ხშირადაა პოლიტიზებული.**

ფიქსირდება პოლიტიკური მოტივით დისკრიმინაციული ხუმრობები. **წამყვანის მონოლოგებში გაშარჟებულია/პაროდირებულია კვირის მთავარი თემები, მაგალითად: მოსამართლეთა სანქცირება, საპროტესტო აქციები, ბიძინა ივანიშვილის, ქალი პოლიტიკოსებისა და ხელისუფლების წარმომადგენელთა პერსონები.**

„ვანოს შოუში“ პოლიტიკოსების მიმართ იუმორისტული ნარატივი წარმოდგენილია ერთ-ერთ ეპიზოდში, გამოგონილ ჟურნალში „ჭორვილელები“, რომელიც ვითომდა ყვითელი პრესის იმიტაციაა. გამხმოვანებელი არის ქალის ხმა, რომელიც გვიყვება: „როგორი ბალზამი და კონდინციონერი უნდა გამოვიყენოთ გრძელი თმისთვის და რომელი შამპუნით ვებრძოლოთ გაყოფილ ბოლოებს, რჩევები ირაკლი კობახიძისგან“, „რომელი დიზაინერი ზრუნავს დავით მათიკაშვილის იმიჯზე“, „რა არის ირაკლი ზარქუას სილამაზის საიდუმლო და რას მალავს ის გადანერგილი თმების ქვეშ“ („ვანოს შოუ“, 17.02.2023); ასევე, ვანო ჯავახიშვილის მონოლოგიდან: წულუკიანის მადლობლები ვართ მართლა, მართლა მადლობლები ვართ, რომ კულტურის მუშაკებს არ გვაყენებს და არ გვხვრეტს, რამხელა სიყვარულია ამ ერთ პატარა ციცქნა გოგოში“ („ვანოს შოუ“, 17.02.2023); ვანო ჯავახიშვილი ნინო წილოსანს: „და ამ დროს მძიმდება ტვინის მდგომარეობა. არ შეიძლება ეს წინადადება ესე უცებ გადახარშო ტვინში. პაუზა გჭირდება, ამ ადამიანებს რამე ღირებულება გააჩნიათო? კითხულობს ნინო წილოსანი - ამას დავარქვი **„ქერა ქალის თვალით დანახული პოლიტიკა“.** არა, თქვენ არ იფიქროთ, რომ ეს სექსისტური განცხადებაა. განა ქერა ქალებს რამეს ვერჩი, უბრალოდ, ვარცხნილობას, შილაკს და ქვეყნის პოლიტიკურ კურსს რომ ერთ ტონალობაში და ერთიანი ხმის ტემბრით განიხილავ, ცოტა ეგ მქრინჯავს, ნინო, იცი?» („ვანოს შოუ“, 21.04.2023).

ამასთან, „ვანოს შოუს» ე. წ. სკეტჩებში, კაცები უმეტესად მთავარ როლს ასრულებენ, ხოლო ქალები მუსიკალურ ნომრებში ფონად არიან წარმოდგენილები. ამის კარგი მაგალითია მუსიკალური ნომერი «ბიძინა და მამალი ქალები» - **პაროდია ბიძინა ივანიშვილის მუსიკალურ სკეტჩში: „**ბიძინა და მამალი ქალები: «დასავლეთი, რომ სანქციებს გვადებს, ნუთუ ეს არ გაშინებს? გაჩუმდი ქალო, იქნებ გამოვრჩე, რა ჯანდაბა გაყვირებს? შენ სანქციები ვერ შეგაშინებს, ფული გაქვს ნაწვალები, თუ რამე, მკერდით დაგიფარავენ ეს მამალი ქალები“ („ვანოს შოუ“, 21.04.2023).

სტერეოტიპური ხუმრობების მაგალითებად შეიძლება მოვიხმოთ ციტატები განხილული მასალიდან: ვანო ჯავახიშვილი: „მთვრალი ქალი ძალიან აპასნია!» („ვანოს შოუ“, 10.02.2023); ვანო ჯავხიშვილი: „კაბების ჩაცმა ერთადერთი გზაა, რომ გაასწროთ აქაურობას, ჩვენო აგრაფინებო“ („ვანოს შოუ“. 24.02.2023). ვანო ჯავახიშვილი: „... მაგის მერე საერთოდაც ქალი აგვარჩევინეს მეფედ, ფემინიზმის გამო, ახლა არ მითხრათ, რომ თამარ მეფის არჩევა „ენჯეოების'' დაკვეთა არ იყო!“ („ვანოს შოუ“, 10.03.2023). ეს უკანასკნელი ფრაზა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობისა და ასევე, ფემინიზმის იდეის დისკრედიტაციის მცდელობაა.

შალვა რამიშვილის მიერ ქალების სექსუალური შევიწროვების საკითხი გასართობ გადაცემებშიც აისახა. აღნიშნული თემა მაგალითად, ძალზე გაშარჟებულია („ვანოს შოუ“ 31.03. 2023) მუსიკალური სკეტჩში, რომელიც მიზნად ისახავს, რამიშვილის, ტვ იმედისა და პოსტ ტვ-ს კრიტიკას აღნიშნულ საკითხთან მმართებაში. იგივე თემა მოხვდა ყურადღების ცენტრში 24 მარტის გადაცემაშიც: ვანო ჯავახიშვილის მონოლოგიდან: „პოსტივის დირექტორს ქალები სექსუალურ შევიწროებაში ადანაშაულებენ... არა ერთი შემთხვევაა, როცა ქალებზე სექსუალურად ძალადობს... შალვა, კარგად არ გცოდნია, როგორია ქალების მრისხანება და ძალა'' („ვანოს შოუ“, 24.03.23).

მონიტორინგის დროს დაფიქსირდა ასევე ასაკობრივი დისკრიმინაცია და ეიჯიზმი. ქვემოთ მოხმობილი დისკრიმინაციული გამონათქვამი ირიბად მიემართება საქართველოს პრეზიდენტს - გამოგონილი პერსონაჟი სკეტჩიდან (ტელეკომპანია პოსტვის წარმომადგენელი ქალი): „- ქალები თუ იქნებიან თქვენს პარტიაში და თუ იქნებიან, რა ასაკის ქალები იქნებიან? ეს მამაშვილური კითხვაა ჩვენი ტელევიზიის დირექტორისგან. წამყვანის პასუხი: - იქნებიან ქალბატონები და ასაკი იქნება სამოცდაათ წელს ზემოთ ქალბატონები, ამიტომ, თქვენი დირექტორისთვის საკმაოდ უინტერესო პარტია ვართ“ („ვანოს შოუ“, 28.04.2023).

გამოყენებული დოკუმენტები და ლიტერატურა:

1	საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ: https://matsne.gov.ge/document/view/91624?publication=10
2	„სამოქალაქო განათლების ლექსიკონი:“ http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=3363
3	Glossary and thesaurus: https://eige.europa.eu/publications-resources/thesaurus?fbclid=IwAR3V_HrgWTOs3-YehZaz8Rw5wRS5ps-zTcTW7X4mZb59qaTlEwbKkL0G87c#letter_g
4	თამარ გურჩიანი, პროექტ “ევროკავშირი გენდერული თანასწორობის კომისიის მხარდასაჭერად” ფარგლებში შექმნილი სახელმძღვანელო ჟურნალისტებისთვის, 2019, თბილისი.
5	გენდერული ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგია, UN WOMAN, 2021.
6	მაია ტორაძე, ხათუნა მაისაშვილი, „მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები“, თსუ, 2019.
7	„ქვეყნის გენდერული თანასწორობის პროფილი“, https://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications
8	https://rm.coe.int/-geo-2021-09-16-practical-guide-on-preventing-and-fighting-sexism-in-l/1680a4af28
9	საზოგადოებრივი მაუწყებლის სტრატეგია/ხედვა https://1tv.ge/strategy/

დანართები

შერჩევის ბარათი

1	მონიტორი:
2	მედია:
3	თარიღი:
4	გადაცემა:
5	გადაცემის ტიპი: საზოგადოებრივ-პოლიტიკური/შემეცნებითი, გასართობი/სხვა
6	ქრონომეტრაჟი/ხანგრძლივობა:
7	ადგილი ბადეში:
8	წამყვანი/წამყვანები 8 (1) გენდერული შემადგენლობა: ქალი/კაცი/ორივე
9	რესპონდენტების რაოდენობა: 9 (1) გენდერული შემადგენლობა: ქალი/კაცი/ორივე
10	შეფასებითი ნაწილი: გენდერული სტერეოტიპები, დისკრიმინაცია და სიძულვილის ენა: 10 (1). მასკულინური სტერეოტიპები: 1 (1) კაცი მშრომელი 1 (2) კაცი გადაწყვეტილების მიმღები 1 (3) კაცური საქმე ოჯახში 1 (4) კაცური პროფესიები 1 (5) კაცი, როგორც სუსტი არსება 1 (6) კაცი ტვინი

10 (2). ფემინური სტერეოტიპები:

2 (1) ქალი დიასახლისი

2 (2) ქალი აღმასრულებელი

2 (3) ქალური საქმე ოჯახში

2 (4) ქალური პროფესიები

2 (5) ქალი, როგორც სუსტი არსება

2 (6) ქალი ემოცია

10 (3). დისკრიმინაციული გამონათქვამები:

3(1) ქალის მიმართ დისკრიმინაციული გამონათქვამები

3(2) კაცის მიმართ დისკრიმინაციული გამონათქვამები

10 (4). სიძულვილის ენა:

4 (1) სიძულვილის ენა ქალის მიმართ

4 (2) სიძულვილის ენა კაცის მიმართ

11	მახასიათებლები: 11 (1) გენდერულად დაბალანსებული 11 (2) გენდერულად დაუბალანსელებელი 11 (3) გენდერულად მგრძნობიარე 11 (4) გენდერულად არამგრძნობიარე
12	შენიშვნა:
13	მოკლე ანოტაცია სამონიტორო მასალის შესახებ:
14	ნიშანდობლივი ციტატა - წამყვანის ან რესპოდენტის:

მედიის გენდერული მონიტორინგის ანგარიში

მონიტორინგის პერიოდი:

01/02 - 31/04

2023